

ISSN 1512-3715



№ 18



პერიოდიული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ქუთაისი - KUTAISI - КУТАИСИ

2016

დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების
ჟურნალი

ЖУРНАЛ НАУЧНОГО ОБЩЕСТВА ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

JURNAL OF SCIENTIFIC SOCIETY OF THE WESTERN GEORGIA

სარედაქციო კოლეგია:

ხელამე ნინო (მთავარი რედაქტორი), ადამიანი ვანია - (სომხეთი), აბასოვი ირშადი - (აზერბაიჯანი), ბეზბოროდოვი ალექსი - (აშშ), ბორის სტეფანი - (გერმანია), დილგერი გლაუსი - (გერმანია), ენუქიშვილი (ენესი) რუბენი - (ისრაელი), მიხაილ გენ ხაიმი - (ისრაელი), მამადოვი ელიაზი - (აზერბაიჯანი), მამიკონიანი გორგისი - (სომხეთი), სტენკამპი ანდრე - (აშშ), მირია დოდო (მდივანი), ბელაშვილი ოთარი, ზევზივაძე ომარი, კოკალიანი ნოშრევანი, მეგრელიძე თამაზი, მელქაძე რევაზი, ნატრიაშვილი თამაზი, ნიკოლევიშვილი ავთანდილი, გეგუჩაძე ციური, გორგობოვა გიორგი, რუხაძე ვახტანგი, გეგურაძე მირანდა, ჯავარიძე ზურაბი.

EDITORIAL BOARD:

N. KHELADZE – (Editor-in-Chief), V. ADAMIAN – (Armenia), I. ABBASOV – (Azerbaijan), A. BEZBORODOV – (USA), S. BHÖM – (Germany), K. DILGER – (Germany), R. ENUKHISHVILI (ENUKHI) – (Izrail), MICHAEL BEN CHAIM – (Izrail), E. MAMMADOV – (Azerbaijan), B. MAMIKONIAN – (Armenia), A. STEENKAMP – (USA), D. Kiria – (secretary), O. GELASHVILI, O. ZIVZIVADZE, N. KOPALIANI, T. MEGRELIIDZE, R. MELKADZE, T. NATRIASHVILI, A. NIKOLEISHVILI, TC. GEGUCHADZE, G. GORGODZE, V. RUKHADZE, M. GETSADZE, Z. JAPARIDZE.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Н. ХЕЛАДЗЕ – (главный редактор), В. АДАМЯН – (Армения), И. АББАСОВ – (Азербайджан), А. БЕЗБОРОДОВ – (США), С. БИОМ – (Германия), К. ДИЛГЕР – (Германия), Р. ЕНУКИШВИЛИ (ЕНУХИ) – (Израиль), МИХАИЛ БЕН ХАИМ – (Израиль), Е. МАММАДОВ – (Азербайджан), Б. МАМИКОНЯН – (Армения), А. СТЕНКАМП – (США), Д. КИРИЯ (секретарь), О. ГЕЛАШВИЛИ, О. ЗИВЗИВАДЗЕ, Н. КОПАЛИАНИ, Т. МЕГРЕЛИДЗЕ, Т. НАТРИАШВИЛИ, А. НИКОЛЕИШВИЛИ, Ц. ГЕГУЧАДЗЕ, Г. ГОРГОДЗУ, В. РУХАДЗЕ, М. ГЕЦАДЗЕ, З. ДЖАПАРИДЗЕ.

ქურნალი “ნოვაცია” ბეჭდავს ახალ, აქამდე გამოუქვეყნებელი საინტერესო მეცნიერული კვლევის შედეგებს საინჟინრო, ბიოლოგიური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში.

ქურნალის მიზანია მეცნიერთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ახალი სამეცნიერო მიღწევები და ხელი შეუწყოს ავტორთა სამეცნიერო კავშირების დამყარებას ქართველ და უცხოელ კოლეგებთან.

სარედაქციო კოლეგია უურადღებით მიიღებს მკითხველთა უკლა კონკრეტულ შენიშვნასა და საქმიან წინადადებას.

რედკოლეგია

Журнал «Новация» печатает результаты новых, неопубликованных до этого интересных научных исследований в инженерных, биологических, естественных и гуманитарных областях наук.

Целью журнала является содействие в доступности новых научных достижений и установление научных связей авторов их грузинскими и зарубежными коллегами.

Редакционная коллегия внимательно примет все конструктивные замечания и деловые предложения читателей.

Редколлегия

Magazine "Novation" prints results new, unpublished before interesting scientific research in engineering, biological, natural and humanitarian areas of sciences.

The purpose of magazine is assistance in availability of new scientific achievements and an establishment of scientific communications of authors their Georgian and foreign colleagues.

The editorial board will closely accept all constructive remarks and business offers of readers.

Editorial board

ს ა რ ჩ მ ვ 3 0

1	ვ. ქობალია. ფორთოხლის პერსპექტიული ფორმების შეფასება მსხმოია- რობისა და ნაყოფების ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით	9
2	ც. ბერაძე. როგორ დავიცვათ ინფორმაცია ვირუსისაგან	15
3	ნ. შაკაია. როგორ ეხმარება CRM – სისტემა გაყიდვებში	20
4	ნათელა ლომიძე. როგორ და რომელ მომხმარებელთან წყვეტი ურთიერთობას	24
5	ნინო ლომიძე. როგორ შევქმნათ პოპულარული ინფორმაციული საიტი	28
6	გ. გორგოძე, ი. ბოჭოიძე, ნ. სინაურიძე, მ. გაბიძაშვილი. ყურძნის წიპრიდან ზეთის ექსტრაქციის საწარმოო ექსპერიმენტის დაგეგმვა	32
7	ლ. ყიფიანი. ეთერზეთების გამოყოფისა და ანალიზის მეთოდები	40
8	ლევან ყიფიანი. მიკროკრისტალური ცელულოზა: სტრუქტურა, თვისებები და გამოყენება	47
9	ი. გოგიაშვილი. ზესტაფონის ფეროშენადნბთა ქარხნის წილა და მისი გამოყენების შესაძლებლობა პოლიმერული მასალების შემაგსებლებად	54
10	თ. მოდებაძე. არაწრფივ თპერატორთა ზოგიერთი თვისება. ნაწილი I	63
11	თ. მოდებაძე. არაწრფივ თპერატორთა ზოგიერთი თვისება. ნაწილი II	71
12	რ. კოპალიანი შ. კაპანაძე, ფეიშოას აგროტექნიკური დონისძიებების ზოგიერთი საკითხის შესწავლის შედეგები იმერეთის პირობებში	80
13	ნ. სელაძე, დ. ქირია, ც. გეგუჩაძე. მინაარმირებული თერმოპლასტების ტვიფვრა და ნაკეთობების ტექმოლოგიური დამუშავება	84

14	6. ცუცქირიძე, ქ. სირბილაძე. ქართული ჩაის ლიპიდური ფრაქციის ქიმიური შემადგენლობა და საკვებ პროდუქტებზე ბიოლოგიურად აქტიური ვიტამინების დანამატების გამოყენების პერსპექტივები	90
15	6. ხაზარაძე, ლ. გობეჯიშვილი. ბუნებრივი ცეოლითებით ჩამდინარე წყლების გაწმენდა იონმიმოცვლითი სორბციის მეთოდით	96
16	ე. გამყრელიძე. მოწამვლები სამკურნალო საშუალებებით	100
17	ნ. ჯინჭარაძე. მოუვლებლ ჩაის პლანტაციებში ბუნქების რეგენერაცია რეაბილიტაციის პერიოდში	105

С О Д Е Р Ж А Н И Е

1	В Кобалия. Оценка перспективных форм апельсина по плодоношению и качественными показателями плодов	9
2	Ц. Берадзе. Как защитить информацию от вируса	15
3	Н. Шакая. Как CRM-системы помогают продавать больше	20
4	Натела Ломидзе. С каким пользователем остановить отношения	24
5	Нино Ломидзе. Как создать популярный сайт для информации	28
6	Г. Горгодзе, И. Бочоидзе, Н. Синауридзе, М. Габидзашвили. Планирование производственного эксперимента экстракции масел из виноградных семян	32
7	Л. Кипиани. Методы выделения и анализа эфирных масел	40
8	Л. Кипиани. Микрокристаллическая целлюлоза: структура, свойства и области применения	47
9	И. Гогиашвили. Шлаки зестафонского завода ферросплавов и возможность их применения в качестве наполнителей полимерных материалов	54
10	Т. Модебадзе. Некоторые свойства нелинейных операторов. Часть I	63
11	Т. Модебадзе. Некоторые свойства нелинейных операторов. Часть II	71
12	Р. Копалиани, Ш. Капанадзе. Результаты изучение некоторых вопросов агротехнических мероприятий фейхоа в условиях имерети	80
13	Н. Хеладзе, Д. Кирия, Ц. Гегучадзе. Штампованиие стеклоармированных термопластов и технологическая обработка изделий	84
14	Н. Цуцкиридзе, К. Сирбладзе. Химический состав липидной фракции грузинского чая и перспективы применения биологически активных витаминных пищевых добавок	90
15	Н. Хазарадзе, Л. Гобеджишвили. Очистка сточных вод природными цеолитами методом ионообменной сорбции	96
16	Е. Гамкрелидзе. Отравления лекарственными средствами	100
17	Н. Джинчарадзе. Регенерация кустов в период реабилитации неухоженных чайных плантаций	105

C O N T E N T S

1	V. Kobalia. Evaluation of orange perspective forms in accordance with fruiting and fruit qualitative indicators	9
2	C. Beradze. How to protect information from viruses	15
3	N. Shakaia. As CRM-system help to sell more	20
4	Natela Lomidze. What the user to stop the relationship	24
5	Nino Lomidze. How to create a popular website for information	28
6	G. Gorgodze, I. Bochoidze, N. Sinauridze, M. Gabidzashvili. Design of experiment for production of grape-seed extract oil	32
7	L. Kipiani. Methods of isolation and analysis of essential oils	40
8	L. Kipiani. Microcrystalline cellulose. Structure, properties and applications	47
9	I. Gogiashvili. Slag of ferroalloy factory of zestaphoni and its possibility of using as filler of polymer materials	54
10	T. Modebadze. Some properties of nonlinear operators. Part I	63
11	T. Modebadze. Some properties of nonlinear operators. Part II	71
12	R. Kopaliani, Sh. Kapanadze. Results of study some questions in of agro technical event feijoa conditions of in imereti	80
13	N. Kheladze, D. Kiria, Tc. Geguchadze. Stamping process of glas-reinforced thermoplastics and technological processing of products	84
14	N. Tsutskiridze, K. Sirbiladze. Chemical composition of lipidic fraction of the georgian tea And prospect of application of biologically active Vitamin food supplements	90
15	N. Khazaradze, L. Gobedjish Vili. Ion-exchange sorption of drainage waters on georgian Natural zeolites	96
16	E Gamkrelidze. Poisoning by medications	100
17	N. Jincharadze. Regeneration of bushes during rehabilitation groomed tea plantations	105

შაბ 631.527

გახტანბ ძობალია

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვოროველის პერსამტიული ვორმების შეზასხა მსხმიარობისა და ნაყოფების ხარისხობრივი მაჩვენებლების მოხდვით

ფორთოხალი თავისი საგეოვნო თვისებებით, როგორც სადესერტო ნა- ეოფი წარმოადგენს ერთ-ერთ პოპულა- რულ ხილს მსოფლიოში და წამყვან კულტურას სუბტროპიკულ მეხილეობა- ში. დასავლეთ საქართველოს სუბტრო- პიკულ ზონაში აღნიშნული კულტურის ფართო სამრეწველო გავრცელება დი- მიტირებულია მცენარის შედარებით დაბალი ყინვაგამძლეობითა და მოსავ- ლიანობით, ასევე ნაყოფების შედარე- ბით დაბალი ხარისხითა და გვიანი მომწიფებით [1,2]. აღნიშნული პრობლე- მების გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ ხერხს ჰიბრიდიზაციასთან ერთად წარ- მოადგენს კლონური და ნუცელარული სელექცია [2,4]. ამ მიმართულებით ინ- ტენსიური კვლევითი სამუშაოები ჩატა- რებულ იქნა ყოფილი საქართველოს სუბტროპიკული სუბტროპიკული მეურ- ნეობის ინსტიტუტში (აფხაზეთის არ) პროფ. ფ. მამურიას ხელმძღვანელო- ბით [3]. მიღებული მრავალრიცხოვანი სასელექციო მასალა შემდგომი შეს- წავლისათვის დარგული იქნა სხვადას- ხვა კლიმატურ-ნიადაგობრივ პირობებ- ში. ბევრი მათგანი დღემდე საბოლოოდ შესწავლილი არ არის.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა დასავლო საქართველოს სუბტროპიკუ- ლი ზონის შედარებით მკაცრ კლიმა- ტურ პირობებში ფორთოხლ ვაშინ- გბონ-ნაველის სხვადასხვა ფორმის მცენარეთა ნაყოფმსხმოიარობის თავი- სებურებების შესწავლა და ამ მხრივ კვლაბურ პერსექტიულის გამორჩევა.

კვლევაში ჩართული იყო ფორთოხ- ლის ოთხი ფორმა: ფორთოხალ ვაშინ- გბონ- ნაველის კლონი №87002, ფორ- თოხალ ვაშინგბონ-ნაველის ნუცელა- რული თესლნერგები №200123 და №2002142, ფორთოხლის ჰიბრიდი №2003/34. საკონტროლოდ აღებული იქნა სტანდარტული ჯიში ვაშინგბონ- ნაველი. საკვლევი მცენარეები განლა- გებულია აკაკი წერეთლის სახელმწი- ფო უნივერსიტეტის აგრარული ფა- კულტეტის სენაკის რაიონის ნოსირის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ნაკ- ვეთზე. შესასწავლად აღებული გვქონ- და თითოეული ფორმის ხუთი მცენარე. გამოკვლევები ჩატარდა სამი წლის - 2012-2014 წლების განმავლობაში.

საკვლევი მცენარეების შესწავლას ვაწარმოებდით ჯიშთაგამოცდისათვის შემუშავებული მეთოდიკით. მცენარეე- ბის ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა ჩატარდა ფენოლოგიური დაკვირვებისა და ბიომეტრული გაზომ- ვების გზით. მცენარეთა მოსავლიანო- ბის აღრიცხვას ვაწარმოებდით ნაყო- ფების დათვლითა და აწონით. ნაყოფე- ბის ხარისხის შეფასებას ვახდენდით საშუალო ნიმუშის წესით. ნაყოფების მექანიკურ ანალიზს ვახდენდით ზოგა- დი მეთოდიკით, ბიოქიმიურ ანალიზს – მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრა- ფირების მეთოდით.

საკვლევი მცენარეების ფენოლოგიური ფაზების გავლის თავისებურებებისა და ვეგეტატიური ორგანოების ზრდის დინამიკის ექსპერიმენტის პერიოდში

შესწავლამ (ცხრილი 1,2) გვიჩვენა, რომ ძირითადი ფენოლოგიური ფაზების (I, II და III ზრდა, ყვავილობა, ნაყოფების მომწიფება) დროულმა გავლამ და ვეგატატიური ორგანოების ძლიერმა განვითარებამ (მცენარის ზრდა სიმაღლუში, ყლორტების რაოდენობა მცენარეზე, ფოთლების რაოდენობა, ყლორტის საშუალო სიგრძე, ყლორტის ჯამური სიგრძე) ხელსაყრელი პირობები შექმნა მცენარეების რეგულარული და მყარი მოსავალის მისაღებად. ქვემოთ უფრო დეტალურად განხილულია ამ მცენარეების ნაყოფმსხმოიარობის თავისებურებები. როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონის პირობებში ფორთოხლის კულტურში სელექციის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას პროდუქტიულობის ამაღლებაწარმოადგენს. საკლევი მცენარეების ამ მაჩვენებლის მიხედვით შესწავლამ გვიჩვენა, რომ ყველა საცდელი ფორმა დაკვირვების ყველა წელს, საკონტროლოსთან შედარებით, ავლენს მაღალი და რეგულარული ნაყოფმსხმოიარობის

უნარს. ცხრილი 3-დან ჩანს, რომ ყველაზე დაბალმოსავლიანი იქნ 2013 წელი, ხოლო ყველაზე მაღალ მოსავლიანი 2014 წელი. 2012 წელს საკონტროლო მცენარიდან მოკრევილ იქნა 33.8 კგ ანუ 186.6 ცალი ნაყოფი, რაც საკმარი დაბალია საცდელი მცენარეების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, რომელთაგან ყველაზე მაღალი ნაყოფ მსხმოიარობა ახასიათებს კლონ №87002-ს - 38.1 კგ ანუ 199.2 ცალი ნაყოფი, ხოლო ყველაზე დაბალი პიბრიდს №20003/34 - 36.0 კგ (197.1 ცალი) ნაყოფი. 2013 წელს მიუხედავად საკვლევი მცენარეების შედარებით დაბალი ნაყოფმსხმოიარობისა, პროდუქტიულობის კანონზომიერება საცდელ და საკონტროლო მცენარეებს შორის არ შეცვლილა. ამ წელსაც ახალი ფორმები შესამჩნევად სჯობნის ფორთოხალვაშინგტონ-ნაველის მცენარეებს. ასე, თუ სტანდარტული ჯიშის პროდუქტიულობა იქნ 23.7 კგ (114.1 ცალი) ნაყოფი, კლონ №87002-ში იგი შეადგენს 37.8 კგ (190.2 ცალს),

ცხრილი 1

ფორთოხლის სხვადასხვა ფორმის მცენარეთა ფენოლოგიური ფაზების გავლის პერიოდები (2012-2014 წ.წ.)

საკლევი მცენარეების დასახელება	ზრდა								ყვავილობა		ნაყოფის მომწიფება, ბალი		
	I		II		III		დაწყება	დამთავრება	სანერაცია	დაწყება	დამთავრება	სანერაცია	
	დაწყება	დამთავრება	სანერაცია	დაწყება	დამთავრება	სანერაცია							
გაშინგტონ-ნაველი (საკ) ქლონი №87002	20.03	30.05	72	27.07	4.09	39	15.09	13.10	23	24.04	18.05	25	3.5
თესლენერგი ქლონი №200123	17.03	29.05	74	29.07	6.09	39	19.09	18.10	30	26.04	20.05	25	3.75
თესლენერგი ქლონი №2002142	25.03	30.05	66	28.08	7.09	41	20.09	16.10	27	5.05	30.05	27	2.8
პიბრიდი №20003/34	23.03	26.05	65	27.08	4.09	40	15.09	7.10	23	6.05	31.05	27	2.7
	26.03	12.05	48	22.08	5.09	46	6.09	10.10	35	27.04	21.05	24	3.75
												20.11	5.12

ცხრილი 2

**ფორთოხლის სხვადასხვა ფორმის მცენარეთა კეგეტაციური ორგანოების
ზრდის დინამიკა (2012-2014 წწ)**

საკვლევი მცენარეების დასახელება	მცენარის ზრდა სიმაღლეში, სმ			ყლორტების რაოდენობა მცენარეები, ცალი			ფორთოხლის რაოდენობა ყლორტებზე, ცალი			ერთი ყლორტის საშუალო სიგრძე მცენარეები, სმ			ყლორტის ჯამური სიგრძე მცენარეები, სმ		
	ზრდის ტალა														
	I	II	III	I	II	III	I	II	III	I	II	III	I	II	III
ვაშინ-გტონ-ნაველი (საქ.) კლონი №87002 თესლნერგავი №200123 თესლნერგავი №2002142 პიბრიდი №20003/34	10.3	21.5	3.7	105.3	82.2	19.3	136.3	107.6	30.4	6.5	9.8	2.7	703.5	803.6	803.6
	11.6	22.2	3.9	110.2	89.3	24.4	143.5	140.3	32.3	6.5	9.7	2.7	716.3	866.2	866.2
	21.9	4.4	119.2	85.2	26.2	152.3	132.1	39.3	6.9	2.9	774.8	894.6	894.6		
	15.4	4.9	102.1	81.4	22.4	124.4	139.2	46.2	6.7	10.5	4.3	684.1	895.4	895.4	
	21.0	5.9	92.2	93.4	32.5	165.5	145.1	51.3	7.0	11.0	5.1	655.4	909.1	909.1	
	15.2	9.7								10.9					

თესლნერგ №2002142-ში - 34.6 კგ (171.9 ცალს), პიბრიდი №20003/34-ში - 30.1 კგ (166.3 ცალს) და თესლნერგ №200123-ში 29.9 კგ (165.2 ცალ) ნაყოფს. 2014 წელს მაღალი პროდუქტების გამოირჩა თესლნერგი №2002142 – 43.4 კგ (246.7 ცალი) ნაყოფი, შემდეგ მოდის კლონი №87002 – 42.2 კგ (227.7 ცალი) ნაყოფი. დანარჩენი ორი საცდელი ფორმის (თესლნერგი №200123 და პიბრიდი №20003/34) პროდუქტების უფრო დაბალი იყო (შესაბამისად 36.8 კგ ანუ 205.5 ცალი და 35.9 კგ ანუ 200.4 ცა-

ლი), ვიდრე საკონტროლო მცენარის - 39.1 კგ ანუ 235.4 ცალი. სამი წლის ნაყოფმსხმოიარობის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე პროდუქტების კლონი №87002 (39.3 კგ ანუ 205.7 ცალი) და თესლნერგი №2002142 (38.1 კგ ანუ 201.2 ცალი). ისინი ამ მაჩვენებლებით არსებითად აღემატებიან სტანდარტული ჯიშის მცენარეებს (32.2 კგ ანუ 178.7 ცალი). ამასთან ადსანიშნავია მათ მაღალი რეგულარული ნაყოფმსხმოიარობის უნარი.

ცხრილი 3

ფორთოხლის სხვადასხვა ფორმის მცენარეთა პროდუქტიულობა (2012-2014 წწ)

საკვლევი მცენარეების დასახელება	2012		2013		2014		სამი წლის საშუალო	
	ცალი	კგ	ცალი	კგ	ცალი	კგ	ცალი	კგ
ვაშინგტონ-ნაველი (საქ.) კლონი №87002 თესლნერგი №200123 თესლნერგი №2002142 პიბრიდი №20003/34	186.6	33.8	114.1	23.7	235.4	39.1	178.7	32.2
	199.2	38.1	190.2	37.8	227.7	42.0	205.7	39.3
	200.8	36.7	165.2	29.9	205.5	36.8	190.5	34.5
	185.0	36.3	171.9	34.6	246.7	43.4	201.2	38.1
	197.1	36.0	166.3	30.1	200.4	35.9	187.9	34.0

ფორთოხლის ნაყოფი სამკურნალო-დიეტური და კვებითი დირებულებით საუკეთესოა სხვა ხეხილოვან

კულტურათა ნაყოფებს შორის. იგი წარმოადგენს შაქრების წყაროს, მათ შემადგენლობაში გხვდებით ორგანულ

მჟავებს, ვიტამინებს, პექტინებს და სხვა ნივთიერებებს, რომელებიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის. ფორმობლის სელექციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ნაყოფის კარგი ხარისხის მქონე ჯიშებისა და ფორმების მიღებაა.

საკვლევი მცენარეების ნაყოფების მექანიკური და ბიოქიმიური შედგენილობის შესწავლი შედეგები მოტანილია ცხრილი 4-ში. ნაყოფების ზომითა და მასით საცდელი მცენარეები განსხვავდებიან როგორც საკონტროლოსაგან, ისე ერთმანეთისაგან. მათ ში ნაყოფის საშუალო სიმაღლე მერყეობს

6.9-დან 7.3 სანტიმეტრამდე, დიამეტრი კი – 7,1 დან 7.4 სანტიმეტრამდე. საკონტროლო მცენარეებისათვის ეს მონაცემები შეადგენს შესაბამისად - 7.0 და 7.1 სმ-ს. საცდელი მცენარეების ნაყოფების საშუალო მასა მერყეობს 180.9-დან 191.0 გრამამდე. საკონტროლოსი კი 180.2 გრამი. ყველაზე დიდი მასისა და ზომის ნაყოფებს ინვითარებს კლონი №87002, რომლის კრონ ნაყოფის საშუალი მასა შეადგენს 191.0 გრამს, ხოლო ზომები - 7.3x7.4 სმ. ყველაზე პატარა ზომისა და მასის ნაყოფები აქვთ ჰიბრიდული №20003/34 - შესაბამისად 180.9 გრამი და 6.9×7.1 სმ

საკვლევი მცენარეების ნაყოფების მექანიკური და ბიოქიმიური შედგენილობა (2014 წლის მონაცემები)

საკვლევი მცენარეების დასახელება	ნაყოფის მასა, გ	ნაყოფის ზომები			რბილობის მასა		მცენარეების ნივთიერება, %	გეგმინი „ჩ“ მგ/100გრ	მჟავების ტემპერატურის გაცემის შემცველობა, %	შაქრის მცველეობა, %	
		საცდელო	სმ	დიამეტრი, სმ	კიბები, გ	გრამი					
გაშინგტონ-ნაგლი (საკონტროლონი №87002 თესლენერგი №200123 თესლენერგი №2002142 ჰიბრიდი №20003/34	180.2 191.0 181.1 189.3 180.9	180.2 191.0 181.1 189.3 180.9	7.1 7.4 7.3 7.3 7.1	5.5 5.4 5.3 5.4 5.5	119.8 129.5 121.1 127.6 119.4	66.5 67.8 66.9 67.4 66.0	10.5 10.3 11.2 11.4 10.2	68.5 69.0 70.4 68.0 67.5	1.3 1.2 1.2 1.2 1.3	7.2 8.1 7.2 7.6 7.0	5.4 6.7 5.9 6.1 5.3

საკვლევი მცენარეების ნაყოფების ბიოქიმიური ანალიზის შედეგებმა (ცხრილი 4) გვიჩვენა, რომ საცდელი მცენარეების ნაყოფში მშრალი ნივთიერების შემცველობა მერყეობს 10.2-დან 11.4 %-მდე. ვიტამინ C-ს შემცველობა 2 ფორმის ნაყოფში უფრო მაღალია, საკონტროლოსთან შედარებით (თესლენერგი №200123 - 70.4 მგ%, კლონი №87002 - 69.0 მგ%). თესლენერგი №2002142 და ჰიბრიდი №20003/34-ის ნაყოფები საკონტროლოზე (68.5 მგ%) ნაკლებ ვიტამინ C-ს შეიცავს (შესაბამისად 68,0 მგ% და 67.5 მგ%). ფორმობ-

ლის ნაყოფის გემური თვისებები დამოკიდებულია რბილობში შაქრისა და მჟავას თანაფარდობაზე. საკვლევი მცენარეების უმრავლესობა ნაყოფში შეიცავს შაქრების საკმაო რაოდენობას. კლონი №87002-ის ნაყოფში შაქრების შემცველობა (8.1%) გაცილებით მეტი იყო საკონტროლოსთან შედარებით (7,2%). ყველა საკვლევი მცენარე, მათ შორის საკონტროლოც, ნაყოფის რბილობში შეიცავს მჟავების მაღალ პროცენტს. მჟავების შემცველობა საცდელ მცენარეების ნაყოფებში მერყეობს 1,1%-დან 1,3%-მდე, ხოლო საკონტრო-

ლოში შეადგენს 1.3 %-ს. ნაყოფში მუნაკების მაღალი შემცველობის გამო ეცემა შაქარ/მუნაკას კოეფიციენტი. ოუმცაის უფრო მაღალია კლონი №87002 (6.7), თესლნერგი №2002142 (6.1) და თესლნერგი №200123 (5.9) მცენარეების ნაყოფებისათვის, ვიდრე საკონტროლო მცენარისათვის (5.4). მხოლოდ ერთ შემთხვევაში (პიბრიდი №20003/34) შაქარ/მუნაკას კოეფიციენტი დაბალია (5.3) სტანდარტულ ჯიშთან შედარებით.

დასკვნა: 1. საცდელ მცენარეებში ძირითადი ფენოლოგიური ფაზების დროული გავლა და ვეგეტატიური ორგანოების ძლიერი განვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნის მათი რეგუ-

ლარული და მყარი მოსავალის მისაღებად.

2. სამი წლის ნაყოფმსხმოიარობის ანალიზიდან გამომდინარე ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველთან შედარებით (32,2 კგ) ყველაზე პროდუქტიულია კლონი №87002 – 39,3 კგ და თესლნერგი №2002142 – 38,1 კგ. ისინი ასევე გამოირჩევიან ნაყოფების მაღალი ხარისხის მიზნებით.

3. ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის კლონი №87002 და ნუცელარული თესლნერგი №2002142 პერსპექტიულია დასავლეთ საქართველოს შედარებით მკაცრ პირობებში ფართო საწარმოო გავრცელებისათვის.

უაგ 631.527

3. ძობალი

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უორთოხელის აერსაეჭთიული უორმების შეფასება მსხმოიარობისა
და ნაყოფების ხარისხობრივი მაჩვენებლების მიზანით
რეზიუმე

კვლევის შედეგად სუბტროპიკულ ზონის შედარებით მკაცრ კლიმატურ პირობებში შესწავლილია ფორთოხლის სხვადასხვა ფორმის მცენარეთა მსხმოიარობისა და ნაყოფების ხარისხებრივი მაჩვენებლები. დადგენილია ამ ნიშნების გამოვლენის პარამეტრები. შესწავლილ იქნა საკვლევი მცენარეების ფენოლოგიური ფაზების გავლის პერიოდები, ვეგეტაციური ორგანოების ზრდის დინამიკა, პროდუქტიულობა, ნაყოფების მექანიკური და ბიოქიმიური შედგენილობა. შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა ფორთოხლის ზოგიერთი გამორჩეული ფორმის დადებითი სამეურნეო ნიშან-თვისებები. ორი ფორმა რეკომენდირებულია ფართო გავრცელებისათვის.

УДК 631.527

В КОБАЛИЯ

Государственный университет Акакия Церетели

ОЦЕНКА ПЕРСПЕКТИВНЫХ ФОРМ АПЕЛЬСИНА ПО ПЛОДОНОШЕНИЮ И КАЧЕСТВЕННЫМИ ПОКАЗАТЕЛЯМИ ПЛОДОВ

Резюме

Относительно суровых климатических условиях субтропической зоны Зап. Грузии, изучены плодоношения растений и качественные показатели плодов различных форм апельсина. Установлены параметры проявления этих признаков. Изучены периоды прохождения фенологических фаз, динамика роста вегетативных органов, продуктивность, механический и биохимический состав плодов опытных растений. В результате исследования установлены положительные хозяйствственные признаки некоторых отобранных форм. Для широкого распространения рекомендованы две формы.

UDK 631.527

V. KOBALIA

Akaki Tsereteli State University

**EVALUATION OF ORANGE PERSPECTIVE FORMS IN ACCORDANCE WITH
FRUITING AND FRUIT QUALITATIVE INDICATORS**

Summary

Through research there is studied fruiting and fruit qualitative indicator of various orange in comparatively strict climate of subtropical zone and there are established parameters of displaying of these signs. In the work there is studied periods of phonological phases, growing dynamics of vegetative organs, productivity, fruits mechanical and biochemical composition of researching plants. Through research there are established positive subtropical signs of some distinguished form. Two of them are recommended for broad spreading.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. ბ. ბერიძე. ვაშინგტონ-ნაველის ზოგიერთი კლონის სამეურნეო მაჩვენებლები. სუბტროპიკული კულტურები, 1986, №5.
2. ბ. კახნიაშვილი. ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის ზოგიერთი კლონის რეპროდუქციის შესწავლის შედეგები. სუბტროპიკული კულტურები, 1982, №4.
3. ფ. მამურია. ციტრსოვანთა შორეული პიბრიდიზაციის ზოგიერთი შედეგები მათი პონცირუს ტრიფოლიატასთან შეჯვარების მაგალითზე. სუბტროპიკული კულტურები, 1967, №1.
4. ქ. ქობალია, ტ. ჯობავა. ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის სრულმსხმოიარენულებული თესლნერებების ზრდა-განვითარებისა და ნაყოფმსხმოიარობის თავისებურებები. საქ. სოფ. მეურ. მეც. აკადემიის მოამბე, ტ. 28, თბილისი, 2010.

შაბ 681.3

ცირა გერაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორ დაგიცვათ ინფორმაცია ვირუსისაბან

დღეს, ციფრულ ხანაში, ყველაზე აქტუალური საკუთარი სისტემისა და ინფორმაციის დაცვის პრობლემაა. ბეჭრისთვის უკვე უცხო არ არის ის ფაქტი, რომ კომპიუტერული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, ერთი მავნე ფაილის საშუალებით მოხდეს მავნე ოპერაციების შესრულება. თავის დაცვა რამდენიმენარად შეიძლება, ამ საშუალებებში შედის უბრალოდ კომპიუტერის გამორთვა, ინტერნეტის გათიშვა, ყველა საეჭვო ფაილის შემოწმება და ა.შ., მაგრამ დღეს ყველაზე პოპულარულიდ მაინც ანტივირუსული პროდუქტების შეძენა და მოხმარება ითვლება. „ვირუსი“, როგორც მას შეცდომით უწოდებენ და Malware (Alicious Software - მავნე პროგრამა) როგორც მას ოფიციალურად ჰქვია, მოიცავს ყველა სახის ბოროტმოქმედ პროგრამებს, ესენია ძირითადიდ:

1. ვირუსი – რიგითი კომპ. მომხმარებლისთვის ეს სიტყვა ყველანაირ ცუდ მოქმედებასთან ასოცირდება, მაგრამ სინამდვილეში ეს სახელწოდება განსაზღვრავს მავნე პროგრამების მხოლოდ ერთ ნაწილს – მათ, რომლებიც ფუნქციონირებისთვის მოითხოვენ მომხმარებლის ჩარევას (ანუ მომხმარებელმა უნდა გაუშვას ინფიცირებული ფაილი) და გაშვებისას აზიანებენ სხვა ფაილებსაც.

2. ჭიაფელა – უფრო ცნობილია, როგორც „გორმი“ (worm). ის, ვირუსისგან განსხვავებით, მოიცავს Malware-ის იმ ნაწილს, რომელსაც თავისით ფუნქციონირება შეუძლია. ასეთი ტიპის პროგ-

რამები თავისით ახერხებენ ქსელის სკანირებას, დაუცველი მანქანების აღმოჩენას, ამ მანქანებში შეძრომას და საჭირო მანიპულაციების ჩატარებას. ამის შემდეგ მთელი პროცესი თავიდან იწყება. საბოლოო ჯამში ეს მთელი ქსელის ინფიცირებას იწვევს.

3. Rootkit - ყველაზე საშიში ტიპი: ასეთი Malware გაშვების შემდეგ ოპერაციულ სისტემას მოდიფიცირებას უქმოთებს და ამით ახერხებს სრულად დაიმაღის მომხმარებლის (და ანტივირუსის) თვალისგან.

4. ტროას ცხენი – საქმაოდ სახალისო და ამავდროულად ზუსტი დასახელებაა: ასეთი ტიპის პროგრამები ძალიან წააგვანან თავიანთ ანტიკურ სენინას – ტიპიური ტროას ცხენი გამოიყერება, როგორც სრულიად უვნებელი პროგრამა, თუმცა გაშვებისას ცდილობს შეუმნევლად შეასრულოს თავისი ბოროტი ზრახვები: ის ვირუსისგან განსხვავდება მხოლოდ ერთით – მთლიანად ყერდნობა მომხმარებლის შეცდომაში შეევანის ტექნოლოგიას და, აქიდან გამომდინარე, არ საჭიროებს თვითგავრცელებას (თუმცა მისი ასეთი ნაირსახეობაც არსებობს). ტროას ცხენს ასევე შეუძლია მოამზადოს სისტემა სხვა მავნე ფაილისთვის (მოხსნას გარკვეული დაცვები), ჩამოტკირთოს და გაუშვას მავნე კოდი, „დააზომბიროს“ და DoS შეგევისთვის გამოიყენოს მანქანა და ა.შ.

5. Spyware – მოიცავს სარეკლამო ბიზნესისთვის გამოყენებულ მავნე პროგრამებს. ეს ტიპი შეიძლება მიებას

ტროას ცხენს ან დაინსტალირდეს უკნებელ პროგრამასთან ერთად. ინსტალირების შემდეგ პროგრამა იწყებს რაიმე პროდუქტის რეკლამირებას უკლავ საშუალებით (მაგ. ფანჯრების მოუთხოვნელად ამოყრა – Pop-Up), თუმცადა შიშის საფუძველი არ არსებობს – ასეთი ტიპის პროგრამა თავისი არსით უკნებელია (გალიზიანებას თუ არ ჩავთვლით).

6. BotNet - ამ ტიპის მავნე კოდი სკანირებას უკეთებს ქსელს და იქრება დაუცველ კომპიუტერებზე (ისევე, როგორც ჭიაყელა), შემდეგ ეშვება და იყენებს კომპიუტერულ რესურსებს მმართველი კომპიუტერიდან მოსული ბრძანებების შესასრულებლად. გამოიყენება ინფიცირებული კომპიუტერების ერთიანი ქსელის შესაქმნელად, რომლის უზარმაზარი რესურსებიც სხვადასხვა საქმიანობისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. უშუალოდ კომპიუტერში მყოფი ინფორმაციის მიმართ ასეთი შეტევა უწყინარია.

7. KeyLoggers - იგივე Keystroke Loggers, ანუ მომხმარებლის მიერ კლავიატურიდან შეევანილი ინფორმაციის ჩამწერი. მალიან ეფექტური საშუალებაა მსხვერპლის პაროლების თუ სხვა ნებისმიერი “კლავიატურული” ინფორმაციის მოსაპარად. ინსტალაციის შემდეგ ასეთი ტიპის პროგრამები ეშვებიან ჩუმად, იწერენ უკლანაირ აქტივობას, იღებენ Desktop-ის სურათებს და გარკვეული ინტერგალით აგზავნიან ამ უკელავერს შექმნელთან.

8. Dialers - გადაშენებადი ტიპი. ინსტალირების შემდეგ პროგრამა მოდემის საშუალებით რეკავდა ფასიან ნომრებზე, რომლიდან შემოსავლის ნაწილსაც შემქმნელი იღებდა. მოდემების გადაშენების გამო ასეთი Malware ნელ–ნელა ქრება.

უკელავერ ზემოთ ჩამოთვლილთან საბრძოლველად ერთი (ან ბევრი ერთად) ჯადოსნური პროგრამა, სახელად ანტივირუსი გამოიყენება. ის აანალი-

ზებს სხვადასხვა ინფორმაციას (StartUp-ზი ჩასმულ ობიექტებს, ჩამტვირთავ სექტორებს, გაშვებულ პროცესებს და ა.შ.), მიღებულს რეალურ დორში და იქცევა შესაბამისად. მაგალითად, თუ მან ჩახა, რომ რომელიც გამშვები ფაილი აპირებს დამალულად გაუშვას ინსტალაცია (ტიპიური ტროას ცხენის სცენარი), შესაბამისად დაბლოკავს მას ან თქვენ გთხოვთ რჩევას – ასეთი და ასეთი რაღაც ხდება და გავუშვაო?

ანტივირუსს ორი მოქმედების პრინციპი გააჩნია. ესენია: ვირუსების აღმოჩენა ვირუსების ბაზაზე დაყრდნობით – უკლავ ანტივირუსი თავის უკან რამდენიმე ლაბორატორიას და ადამიან ექსპერტს ითვლის. ეს ადამიანები 24 საათის განმავლობაში აანალიზებენ ახალ–ახალ ვირუსებს, ქმნიან მათ შესაბამის „ანაბეჭდებს“ და ათავსებენ მათ თავიანთ სერვერზე, რომლებსაც შემდეგ მომხმარებლის მანქანაზე დაინსტალირებული ანტივირუსი ტვირთავს ინტერნეტის მეშვეობით. ფაილის სკანირებისას ანტივირუსი ადარებს მას არსებულ ვირუსების ბაზას და დამთხვევის შემთხვევაში ფაილს ვირუსად ამოიცნობს. გასაგებია, რომ რაც უფრო ხშირად განახლებადია ანტივირუსული ბაზა და რაც უფრო მეტი და პოპულარული ვირუსის ანაბეჭდი იტვირთება თითოეული განახლებისას, მით უფრო მცირეა კომპის ინფიცირების შანსი. ვირუსების აღმოჩენა ევრისტიკულ (პროაქტიულ) მეთოდზე დაყრდნობით – ხდება ისეც, რომ სანამ ახალი ანაბეჭდები მომხმარებლის კომპამდე მიაღწევენ, კომპი იქამდე ხდება ახალი ვირუსის შეტევის მსხვერპლი. ასეთ შემთხვევაში უძლეურია ტრადიციული, ვირუსების ბაზაზე დაყრდნობილი სკანირების მეთოდი, მაგრამ კომპი ბოლომდე დაუცვებლი მაინც არ რჩება – არსებობს მეორე მეთოდიც, რომელსაც ეპრისტიკულს უწოდებენ. ის უკელავ პროგრამის მოქმედებას აანალიზებს

რეალურ დროში და საეჭვო პროგრამებს ბლოკავს. ასე რომ, კარგი ანტივირუსის ქონის შემთხვევაში კომპი შემთხვევების 95%-ში დაცული რჩება.

ანტივირუსები, თავის მხრივ, განისაზღვრება რამდენიმე კატეგორიად:

1. ანტივირუსი – ვირუსებთან მებრძოლი პროგრამა;
2. ანტივირუსი + Firewall - ვირუსებთან მებრძოლი და traffic მაკონტროლირებელი პროგრამა;
3. სრული დაცვის პაკეტები – მე-2 კატეგორიას დამატებული ათასნაირი უაზრო ფუნქცია, რომლებშიც ძირითადად spamTan მებრძოლი, მშობლების კონტროლის, ინფორმაციის რეზერვირების, სისტემის ოპტიმიზირების, მოდული შედის. რა თქმა უნდა, ეს სრული ჩამონათვალი არაა და დაყოფა მწარმოებლებზეცაა დამოკიდებული. ზოგი კიდევ რამდენიმე კატეგორიად ჰყოფს თავის პროდუქციას მომხმარებელზე მაქსიმალური მორგებისთვის, ზოგი კი მხოლოდ ერთ სახეობას უშვებს.

ძირითადად, ანტივირუსის შერჩევისას მომხმარებლის მხრიდან ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ პარამეტრებს:

1. ვირუსების ბაზა – რაც ხშირად განახლებადი და ეფექტურია ვირუსების ბაზა, მით უფრო დაცულია მომხმარებელი. ასევე, არსებობს აზრი, რომ რაც უფრო ახლოსაა ტერიტორიულად ვირუსების მწარმოებელი კომპანია თქვენთან, მით უფრო ეფექტურია მისი ანტივირუსული ბაზები. ეს ნაწილობრივ სიმართლეა, მაგრამ არა დიდად გასათვალისწინებელი;
2. ევრისტიკული ანალიზი – ვირუსების ახალი ბაზის უქონლობის შემთხვევაში თავდაცვის ეს გზადა გვრჩება, ასე რომ, ამ კომპონენტის კარგი მუშაობა სიკეთებულის საკითხია;
3. რესურსების მოხმარება – ნამდვილად არავის სჭირდება დაცვა, რომელიც მთელ სისტემურ რესურსებს გვართევს, ამას ისევ გამორთული კომპი სჯობს. რა თქმა უნდა, რაც ნაკ-

ლებ რესურსს მოხმარს ანტივირუსი, მით უკეთესი თქვენი ნერვებისთვის;

4. ინტერფეისი – ამ ნაწილში შედის ყველაფერი – დაწყებული პროგრამის მთავარი ფანჯრის გაფორმებიდან, დამთავრებული შეტყობინების ვიზუალური თუ ხმოვანი სისტემით;
5. ფასი – ეს პუნქტი საზღვარგარეთ ანტივირუსული პროგრამის ავტორიზაციანობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს, თუმცადა საქართველოში არაა აქტუალური იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანტივირუსული (და საერთოდ) პროგრამების უდიდესი უმრავლესობა მეკობრული („პირადული“) გზითაა ნაშოვნი (ანუ გატეხილია). შესაბამისად, ჯერჯერობით ეს პუნქტი მიიღეთ, როგორც ზოგადი ინფორმაცია და არა რეალურად გასათვალისწინებელი ფაქტორი.

ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფა უუბნება რა მომხმარებელს, რომ ყველაფერი წესრიგშია (ვის არ უხარია მწვანედ განათებული ანტივირუსის ხატულა), ზედმეტად ამშვიდებს მას და ეს უკანასკნელი ივიწყებს სიფრთხილის სხვა წესებს.

რისკის კიდევ უფრო შესამცირებლად და მინიმუმადე დასაყვანად საჭიროა ყოველთვის გვასხვდეს და ვიცავდეთ შემდეგ წესებს:

1. საჭიროა სისტემური განახლებები (Windows Update), ეს საკითხი ძალიან ხშირად ყველაზე დიდ გავლენას ახდენს კომპის დაცულობის დონეზე;
2. არ იაროთ უცნობ საიტებზე. იქ ინფიცირების შანსი ყველაზე მაღალია;
3. არ გახსნათ უცხო მეილი. მართალია, დღევანდელი პოპულარული საფოსტო უცხოები (Gmail, Yahoo,) საკუთარი ანტივირუსით ამოწმებენ ყველა წერილს და არც კლიენტის ანტივირუსები ტოვებენ მათ უყურადღებოდ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა;
4. არ ენდოთ IM-ით (მესინჯერებით) გამოგზავნილ არცერთ ფაილს, ყველა ასეთი ფაილი გაშვებამდე ანტივირუ-

სით შეამოწმეთ. თუ უფრო ზუსტი პასუხის მიღება გინდათ, საეჭვო ფაილი შეგიძლიათ VirusTotal-ზე ატვირთოთ,

სერვერი შეამოწმებს თქვენს ფაილს სამი ათეული სხვადასხვა ანტივირუსით და შედეგს დაგიბრუნებთ.

უაკ 681.3

ვ. ბერაძე

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
როგორ დაციცვათ ინფორმაცია ვირუსისაბან
რეზიუმე**

სტატიაში აღნიშნულია, გავიგოთ, რას წარმოადგენენ და რამდენ ტიპად იყოფიან ვირუსები და ანტივირუსები, რომელი ანტივირუსია უკეთესი მოცემულ სიტუაციაში და პიგიენის რომელი წესები უნდა დავიცვათ ჩვენი საყვარელი კომპის ინფიცირების რისკის მინიმუმამდე დასაყვანად. ანტივირუსები, თავის მხრივ, განისაზღვრება კატეგორიად.

ნაჩვენებია რა პარამეტრებს უნდა მივაქციოთ ყურადღება ძირითადად ანტივირუსის შერჩევისას მომხმარებლის მხრიდან. ჩამოვთვლია დღეს საქართველოში ყველაზე პოპულარული ანტივირუსების სია, მათ პლიუს–მინუსები და გამოყენება. ნაჩვენებია ანტივირუსების მოქმედების მექანიზმები, ასევე აღნიშნულია რისკის კიდევ უფრო შესამცირებლად და მინიმუმამდე დასაყვანად საჭირო წესები.

УДК 681.3

Ц. БЕРАДЗЕ

**Государственный Университет Акакия Церетели
КАК ЗАЩИТИТЬ ИНФОРМАЦИЮ ОТ ВИРУСА**

Резюме

В статье говорится, о том, что представляют собой вирусы, и сколько типов они разделены на группы в зависимости от вирусов и антивирусных программ, какие антивирусы лучше в той или иной ситуации и правила гигиены, чтобы защитить наших любимых компьютеров, чтобы свести к минимуму риск заражения. Антивирусы, в свою очередь, определяется по категориям. Показаны на какие параметры следует обратить внимание в основном при выборе антивирусных пользователей. Показан список самых популярных антивирусов Грузии, плюс-минус и их использование. Также показаны механизмы отображения антивирусных действий, чтобы уменьшить риск и свести к минимуму необходимые правила.

UDC 681.3

C. BERADZE

Akaki Tsereteli State University

HOW TO PROTECT INFORMATION FROM VIRUSES

Summary

The article says that is a virus, and how many types are divided into groups depending on the virus and anti-virus programs, any anti-virus software is better in a given situation and hygiene rules to protect our beloved computers to minimize risk infection. Antivirus, in turn, is determined by categories.

Showing what parameters should pay attention primarily in the choice of anti-virus users. A list of the most popular antivirus Georgia, plus or minus, and their use. Also, shown display mechanisms of antiviral action to reduce the risk and minimize the necessary rules.

ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. intermedia.ge/statia/55707-რა-არის-კომპიუტერული-ვირუსი/165/;
2. კომპიუტერული უნარ-ჩვევები კომპიუტერული ქსელები, გლობალური კომპიუტერული ქსელი-ინტერნეტი, ინფორმაციული უსაფრთხოება;
3. <http://post.tvfree.ge/2016/04/11/15-saintereso-phaqt-kompiuteruli-virusebis-shesakheb-romeltha-tsodna-thithoeuli-momkhmareblisthvis-sasargebloa/>

გვგ 681.3

ნახა შაბაზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორ მხმარება CRM – სისტემა გაყიდვებში

ბიზნეს მფლობელებებმა იციან, რომ CRM - სისტემა – ეს არის გზა, დაამყარონ ურთიერთობა თითოეულ მომხმარებელთან.

რა პრობლემებს წევებს CRM - სისტემა?

თქვენ დებთ ფულს რეკლამაში და ახალი კლიენტების მოზიდვაში, რომელიც უნდა გადაიხადოს. ამისათვის, თქვენ უნდა დაამუშავოთ თითოეული განაცხადი, შეკითხვა, ზარი, ელ-ფოსტა და ასე შემდეგ.

თქვენი დამატებითი უპირატესობა უაღრესად კონკურენტუნარიანი. დღეს, როდესაც ფასები ბევრ საქონელზე პრაქტიკულად იგივეა როგორც საიტებში უპირატესი ხდება მომხმარებება. CRM - სისტემა ხდეს უწყობს პირად კომუნიკაციას მომხმარებელთან.

სხვადასხვა ობიექტში შეიძლება ფუნქციონირებს სხვადასხვა გზით, და მიიღოს შენიშვნები, როგორც მოესურვება. იმისათვის, რომ გავიგოთ, რა ეტაპზეა ურთიერთქმედება თითოეულ კლიენტთან, შეგიძლიათ, გადახდოთ მასობრივ ბაზარს, საუკეთესო შემთხვევაში, ხცელ-სიებს. ეს არის როგორ და ხანგრძლივი პროცესი.

თუ თქვენ წინაშე დგას ამოცანა გადავცეთ ბაზა ერთი მენეჯერიდან მეორეს, შეიძლება შეიქმნას პრობლემები. პირველი – ეს არის ხელწერა, და თუ მენეჯერს დაავიწყდა სიმბოლოს ხელით ჩახმა, "ისტორია"

მომხმარებელთან დაკავშირებით შეიძლება დაიკარგოს. CRM-სისტემა – ეს არის საერთო ყველასთვის სტანდარტული მონაცემთა ბაზა ეტიკეტებით და ტეგებით.

CRM შისტემა შესაძლებელს ხდის ინტეგრაციას ტელეფონით. ასე, რომ თქვენ შეგიძლიათ აფიქსიროთ ყველა ზარები და მათი მართვა.

გარკვეული მენეჯერის პირად ამბიციებზე (მაგალითად, მოტივაციის ნაკლებობა) არ აძლევს მათ უფლებას იმუშაონ „თბილ“ და „ცივ“ კლიენტებთან. ფოკუსირება მხოლოდ „ცხელ“, ართმევს პოტენციური მომხმარებელის ბაზას. CRM შისტემა გაძლევთ საშუალებას ავიცილოთ „სკრინიზი“ იმ შემთხვევაშიც, თუ არასწორი შეფასებაა პოტენციური კლიენტების (გადახდისუუნარობის).

სხვადასხვა ტიპის მომხმარებელთან, შეგვიძლია შევაფასოთ ჩვენი რეალური მოვაჭრები, რომელიც არ იზომება მხოლოდ შეკვეთების რაოდენობით. CRM - სისტემა – ეს დეტალური სტატისტიკა ყველა შემომავალი მოთხოვნების და ზარების.

CRM - ის საშუალებით, შესაძლებელია დავავალოთ პასუხისმგებლობა კონკრეტულ გარიგებაზე და ამით შეფასდეს მოვაჭრის მუშაობა. ყოველი კონტაქტი მომხმარებელთან უნდა იყოს დაფიქსირებული, რაც ასახავს მენეჯერის საქმიანობას.

თუ ვმუშაობთ პირად გაყიდვებზე, განსაკუთრებით თუ ისინი გგხვდება იშვიათად, თქვენ გჭირდებათ დაგაგროვოთ მაქსიმუმი ინფორმაცია კლიენტზე. თუ ის მიმართავს ერთი წლის შემდეგ, და მას მიმართავენ სახელით და დაანახებენ რომ კარგად ახსოვთ ამით ხელახალიგაყიდვების აღბათობა გაიზრდება. ამგვარად იქმნება ლოიალური კლიენტების ბაზა, რომლებიც არიან მზად გრძელვადიან კონტაქტებზე.

მენეჯერს ყოველთვის უნდა ჰქონდეს დაგეგმილი ახალი მოქმედება და უკეთესი - კონკრეტული თარიღი. ამ მიზნით CRM სისტემას გააჩნია შესხენების სისტემა.

რომ დაიგეგმოს ბიზნესის შემდეგი ზრდა, ნათლად უნდა ვიცოდეთ რა გვაქვს დღეს. CRM შისტემა გვაძლევს სისტემურ ცოდნას საკუთარი წარმატებისა და სუსტი მხარეებისა.

ზოგიერთი CRM სისტემის ინტეგრირებულია, მაგალითად, Google Analytics, რომელიც საშუალებას გაძლევთ, რათა დადგინდეს არხის გარდაქმნა და დაფიქსირდეს სრულყოფილი გარიგებები.

CRM -სისტემა არარ ის საჭირო, თუ:

არ ეძებენ ახალ მომხმარებელს და არ დებენ ინვესტიციებს რეკლამაში (მიზანიმიმართული შეზღუდვაშემომავალ იბრძანებებს, მაგალითად, იმისგამო, რომ არ არის საკმარისი რესურსები);

თუ საიტი საძიებო ბუნებისაა, მნიშვნელოვანი საკითხები წყდება მომხმარებელთან პირისპირ; არა ასწორი წარმოდგენა.

ზოგიერთ კომპანიებს სჯერა, რომ ყველა ამოცანები გადაწყდება CRM სისტემის გარეშე.

ზოგჯერ ცდილობენ CRM - სისტემა შეცვალონ თავაზიანობით. სასარგებლო გამყიდველი, რომელსაც არახსოვს კლიენტის სახელი, და არ

იცის, მისი მოთხოვნები – დაკარგული კლიენტია.

თუ არ არსებობს ცუდი მიმოხილვები და საჩივრები – CRM-ი საჭიროარარის, რომ დავიწყოთ CRM -თან მუშაობა.

ვათავსებთ კლიენტს კომპიუტერზე და მობილურ მოწყობილობაზე, რომელიც დაგეგმილია მუშაობისთვის (იმ შემთხვევაში, თუ გამოვიყენებთ SaaS მომსახურებას).

პირველი რაც უნდა გაკეთდეს მნიშვნელოვანია გამოვლინოს გაყიდვების განყოფილება. მაშინაც კი, თუ არის 3 გამყიდველი, ეს არის შემთხვევა, როდესაც უნდა მოვახდინოთ მათი მუშაობის ორგანიზირება.

სანამ ჩაინერგება CRM სისტემა, უნდა განხორციელდეს მუშაობა მენეჯერებთან. ზოგიერთმა თანამშრომელმა შეიძლება მოუწყოს საბოტაჟი ინვაციას, რომელიც არ არის სასურველი იმ დროს, ასე რომ - ისინი უნდა დარწმუნდნენ ამ ნაბიჯის აუცილებლობაში.

CRM -სისტემის არსებობა გულისხმობას ეფექტურ ფუნქციონირებას call - ცენტრისა.

თუ მუშაობენ იურიდიულ პირებთან, CRM სისტემის შერჩევისას ყურადღება მიაქციონ უნარს შექმნას მრავალჯერადი კონტაქტები განლაგებული კომპანიებისა.

თუ არსებობს ინტერნეტ-მაღაზია, აქვს აზრი, რომ ფინალურ ეტაპზე გაკეთდეს მეორე გარიგება, რომელიც არის ერთი წარმატებული ონლაინ მაღაზია – ეს არ არის მაჩვენებელი. ჩვენ ასევე გვახსოვს, რომ ყოველთვის მუშაობა უფრო იაფია არსებულ მონაცემთაბაზაზათან, ვიდრე ყოველჯერზე მოიზიდოს ახალი აუდიტორია.

თითოეული პოტენციურიკლიენტების უნდა იყოს დაგეგმილი შემდეგი მოქმედებები

(ე-მაილ, უნიკალურ შეთავაზებას). ეს ეხმარება მომხმარებელს სეგმენტაციაში რაც ხელმისაწვდომია CRM სისტემაში.

შედეგები
CRM-სისტემა ეხმარება
გაუმკლავდეს თითოეული შემომავალი

თხოვნით და აქციოს ის პლიენტად, რომელიც ისევ მოვა. ამისათვის, მენეჯერების მუშაობა უნდა იყოს მოტივირებული, და ჰქონდეს სურვილი თვისობრივად შეცვალოს საკუთარი ბიზნესის მასშტაბები.

შპ 681.3

6. შაკაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი როგორ მხარება CRM – სისტემა გაყიდვებში რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია თუ როგორ ამყარებს ურთიერთობას CRM - სისტემა – თითოეულ მომხმარებელთან. -სისტემა ხელს უწყობს პირად კომუნიკაციას მათთან. არის სტანდარტული მონაცემთა ბაზა, საერთო ყველასთვის, თავისი ეტიკეტებით და ტეგებით. CRM სისტემა შესაძლებელს ხდის ინტეგრაციას ტელეფონით.

CRM სისტემის საშუალებით შეგვიძლია შევაფასოთ ჩვენი რეალური მოვაჭრები, რომლებიც ფასდებიან იმით, რომ როგორ შეასრულებენ მათზე დავალებულ კონკრეტულ გარიგებას.

სტატიის მიზანია, სწორად განვსაზღვროთ და შევარჩიოთ ისეთი მენეჯერი, რომელიც გამოავლენს გაყიდვების განყოფილებას, ხელს შეუწყობს მასში CRM სისტემის დანერგვას, შემდგომში არ შეგვიქმნის პრობლემას ურთიერთობისათვის, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მუშაობა ყოველთვის უფრო იაფია არსებულ მონაცემთა ბაზასთან, ვიდრე ყოველთვის მოიზიდოს ახალი აუდიტორია.

УДК 681.3

Н. ШАКАЯ

Государственный Университет Акакия Церетели

КАК CRM-СИСТЕМЫ ПОМОГАЮТ ПРОДАВАТЬ БОЛЬШЕ

Резюме

В статье показано, как строят отношения система CRM – с каждым клиентом. CRM – система облегчает личное общение с ними. Является стандартной базой данных, общая для всех своих этикеток и ярлыков. Система CRM позволяет интегрирование телефоном.

Система CRM может оценить наши реальные трейдеры, которые судят по тому, как они выполняются для выполнения конкретных операций.

Цель состоит в том, чтобы CRM-система помогла обрабатывать каждую входящую заявку и превращать ее в клиента, который придет снова. Для этого необходимо иметь мотивированных к работе менеджеров и собственное желание качественно изменить масштабы собственного бизнеса.

UDC 681.3

N. SHAKAIA

Akaki Tsereteli State University

AS CRM-SYSTEM HELP TO SELL MORE

Summary

The article shows how to build relationships CRM system - with each client. CRM - system facilitates personal communication with them. It is a standard database, common to all its labels and tags. The CRM system allows you to integrate your phone.

CRM system can evaluate our real traders who are judged by the way they are carried out for specific operations.

The goal is to CRM-system has helped to handle each incoming request and turn it into a client who will come again. To do this, you must be motivated to the work of managers and their own desire to qualitatively change the scale of their own businesses.

ლიტერატურა – REFERENCES—ЛИТЕРАТУРА

1. Руководство по CRM. Путь к совершенствованию менеджмента. Эдриан Пейн.
2. CRM со скоростью света. Привлечение и удержание клиентов. Пол Гринберг
3. Технологии CRM. Экспресс - курс Патрик Молино
Паспорт технического проекта Варцихского гидроузла на реке Риони. Тб. 1985.

შაბ 6813

ნათელა ლოგიკა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორ და რომელ მომხარებლთან ყველაზე ურთიერთობას

როგორც უველასათვის ცნობილია თანამშრომლობა ნიშნავს ურთიერთ დამოკიდებულებას კომპანიასა და მომხმარებელს შორის, როდესაც ურთიერთდამოკიდებულება რაიმე მიზეზით ცვდდება, ამ შემთხვევაში ხდება მწარმოებლისა და მომხმარებლის მიზნების არა თანხვედრა, რაც იწვევს ურთიერთობის გაწყვეტას.

არსებობენ ისეთი კატეგორიის მომხმარებლები, რომელთანაც ურთიერთთანამშრომლობა მათი ან თქვენი პირობების დაუცველობის გამო შეიძლება შეწყვიტოთ. ამ სტატიაში ვისაუბრებო იმაზე თუ როგორი მომხმარებელი შეგვიძლია “გავუშვათ” და რაომ.

იმისათვის რომ მივიღეთ იმ დასკნამდე გავუშვათ თუ არა მომხმარებელი, საჭიროა მრავალჯერადი გადამოწმება და ამის შემდეგ ანალიზის გაკუთხება. დავუშვათ მომხმარებელი სარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ გამოიმუშაოთ უკეთესია, მასთან შეწყვიტოთ თანამშრომლობა, თუ არა და თქვენი წარმოება იქნება წამგებიანი.

წინასწარ შემუშავებული მომგებიანი მოდელი თანამშრომლობისათვის, გაძლევთ იმის საშუალებას, რომ მოარგო მას მომხმარებელი. იმისდა მიუხედავათ თუ რას ყიდით აუცილებელია გადამოწმების მიზნით გამოყოფილ რაიმე პროდუქცია და წელიწადში 1-ჯერ ან ყოველდღე აწარმოოთ მისი გადამოწმება.

რა სიტუაციაში შეგვიძლია მომხმარებელი დავაბრუნოთ

იმ შემთხვევაში თუ თქვენ დაკარგეთ უველა მონაცემი, საჭიროა დაფიქტდეთ თქვენს CRM-სისტემაზე და დაარწმუნოთ მომხმარებელი იმაში გითომდა მას შეეცვალა მენეჯერი.

თუ თქვენ დაარღვიეთ ხელშეკრულების პირობები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ის არსებობს წერილობითი სახით და აქვს იურიდიული ფორმა, მაშინ მომხმარებელი შემოგიბრუნდებათ თქვენს საწინააღმდეგოთ, რაც ძალიან საზიანოა თქვენი შემდგომი მუშაობისათვის. თუ გაგაჩნიათ რაიმე ხელჩასაჭიდი იმისა, რომ როგორმე “შემოაბრუნოთ” მომხმარებელი, გამოიყენეთ იგი. მაგალითად მუშაობის დროს მომხმარებელს ჰქონდა იმედი, რომ საჭიროების შემთხვევაში მიიღებდა კომპენსაციას კომპანიიდან მაგრამ, თქვენ შეწყვიტეთ მასთან თანამშრომლობა, მის დასაბრუნებლად უკავ უნდა წახვიდეთ ამ დათმობაზე, ან კიდევ მომხმარებელმა შეგატყობინათ, რომ უფრო ნაკლებ ფასად იშოგა პროდუქცია. თუ თქვენთვის შესაძლოა იგივე პროდუქციაზე ფასის დაკლება გააკეთეთ ეს, რომ არ დაკარგოთ მყიდველი. ასეთი მიდგომა გაძლევთ საშუალებას მისცეთ მოტივი მომხმარებელს გააგრძელოს თანამშრომლობა კომპანიასთან, აუცილებელია იმუშაოთ ნეგატიურად, გააუმჯობესეთ სერვისი იმისათვის, რომ შემთხვევით არ დაკარგოთ საუკეთესო მომხმარებელი.

როდისაა აუცილებელი შეწყვიტოთ თანამშრომლობა

თანამშრომლობის შეწყვეტა ხდება იმ შემთხვევაში თუ:

მომხმარებელი უსარგებლოა – ყველა თქვენი მომხმარებელი დაყავით სამ ჯგუფად იმისდა მიხედვით თუ რა სარგებელი მოაქვთ მათ. შეაღგინეთ სია მომხმარებლებისა რომლებმაც დახარჯეს მეტი და ჩადით იმ მომხმარებლამდე რომლებმაც დახარჯეს ნაკლენი ანუ სია ხარჯისა, კლებადობის მიხედვით. შეაჯამეთ მოგება, ამის შემდეგ გამოყავით ზემოდან ამ ჯამის 80%-ი, ესენი იქნებიან თქვენი მოგების მომტანი მომხმარებლები, შემდეგ გამოყავით 80%-ი დარჩენილი სიიდან, ესენი არიან საშუალო მოგების მომტანი მომხმარებლები, დანარჩენი ნაკლებმომგებიანი მომხმარებლები, რომლებმაც საეჭვოა თქვენთან ითანამშრომლონ.

თქვენ ხართ უსარგებლო მომხმარებლისათვის – მომხმარებლებს მას შემდეგ რაც დაიწყეს თქვენთან თანამშრომლობა, გაუჩნდათ ახალი მოთხოვნილებები, რომლებიც თქვენ არ შეგიძლიათ დააგმაყოფილოთ ტექნიკური გაუმართაობის გამო მაგალითად, თუ გააქვთ მანქანების შეკეთების სერვისი, მაგრამ არ ემსახურებით მოტოციკლების შეკეთებას, მომხმარებლის მოთხოვნა კი ესაა და თქვენ არ შეგიძლიათ მისთვის რაიმეს შეთავაზება, ამიტომ თქვენ მისთვის უსარგებლო ხართ.

თქვენ გახდით მომხმარებლისათვის არასაინტერესო

ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ცხოვრების სტილის ან მდგომარეობის შეცვლასთან. მაგალითად მომხმარებელმა შეწყვიტა მოწევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს შეწყვიტოთ სანთებელას გამოშვება ის ხომ შეიძლება სხვა საქმეშიც გამოიყენოთ, ან ისწავლა მანქანის მართვა, მაგრამ თქვენ არ აძლევთ იმის საშუალებას დაჯდეს მანქანაზე და მართოს იგი, ისწავლა ინგლისური ენა, მაგრამ თქვენ მას სათანადო სამუშაოს არ აძლევთ.

ამდენათ თქვენ მომხმარებლისათვის გახდით უინტერესო.

ვერ შეეწყვეთ ხასიათში – ეს პირველ რიგში ეპუთვნის ინდივიდუალურ მომსახურებას, თუ არ შეგიძლიათ მომხმარებელს მიაწოდოთ სხვა სპეციალისტი, რომელიც მას შეწყვობა, უკეთესია მასთან შეწყვიტოთ თანამშრომლობა ან რეპეტიტორის საშუალებით უნდა მოამზადოთ სპეციალისტი, რომელიც ყოველნაირ მომხმარებელს შეუწყობს ხასიათს.

მოწეუბარი მომხმარებელი – არსებობს მომხმარებელთა კატეგორია, რომელიც ყოველთვის უკმაყოფილოა მომსახურებით, პირველივე დღიდან გამოირჩევიან აგრესით და გაშინებენ. თუ გყავთ ასეთი მომხმარებელი, თქვენთვის, ცალკე დააფიქსირეთ მისი მოგება, ამის შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება. შეიძლება მომხმარებელი ცხოვრობდეს სხვა რეგიონში, რეგულარულად გაძლევთ შეკვეთას, მაგრამ არ იხდის ან იხდის მაგრამ დაგვიანებით, ასეთი მომხმარებელი ცხადია არავის მოქმედება და ყოველთვის ვერ იქნებით ლოიალური.

თქვენ უკვე აპატიეთ – თუ მომხმარებელი წავიდა და მიზეზი გასაგებია, არ ეცადოთ რაღაცისთვის დააბრუნოთ იგი, რადგან შემდგომში ის უფრო კატეგორიული იქნება და არ იქნება თქვენი მყიდველი. თუ შესთავაზებთ დაჯილდოვებას თანამშრომლობისათვის, შეიძლება ერთხელ თამამად კიდევ “დაგიკაგუნოთ”.

მოგებაზე მონადირე – ჩამოაყალიბოთ ხანგრძლივი დამოკიდებულება ამ ტიპის მომხმარებელთან ძალიან ძნელია, ისინი აქტიურად სარგებლობენ პირველივე მოგებით, მათთვის სასურველია ეკონომიკურობა, ამიტომ ექნებათ მცდელობა გაგიკეთონ მანიპულირება და მოთხოვნა, მისცეთ იაფად. თუ მოგება ამოწურულია დაემშვიდობეთ.

თქვენი პირობის დაცვა უარყოფილია – სთავაზობთ მომსახურებას და

ყოველთვის დებულობთ გადასახადს ზემოთ 30-50%-ს, თუ მომხმარებელი უარს ამბობს ამის გაკეთებაზე და გოვენებო მოთხოვნებს, შესაძლებელია მასთან თანამშრომლობის არა მარტო გაუქმება, არამედ დაწყებაც, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს თქვენი დაზარალება, შესაძლებელია იურიდიულადაც.

მომხმარებელი არ იხდის – თუ თქვენ გააფორმეთ ხანგრძლივი ხელ- • შეკრულება და შეასრულეთ თქვენი ვალდებულება, მაგრამ მომხმარებელი თავს იკავებს გადახდისაგან დასაწყის- შივე შეწყვიტეთ მასთან მუშაობა, ეს განსაკუთრებით ეპუთვის მათ ვინც მუშაობს ინტერნეტში ან წარმოადგენს მომსახურეს სარემონტო სამუშაოებში, მარკენტინგში და ასე შემდეგ.

დროის დაუცველობა – მუშაობთ რაიმე სფეროში, სადაც აუცილებელია მომხმარებლის თანხმობა, მაგრამ ის არ ჩქარობს, ეს თქვენს წისქვილზე ას- ხამს წყალს, შეგიძლიათ მის ზარს და- ელოდოთ თვეების განმავლობაში, მაგ- რამ ის არ ჩანს, ამის შემდეგ პროცესი შეგიძლიათ შეწყვიტოთ.

თქვენ გიყენებენ – ზოგიერთ შემ- თხვევაში ისეც ხდება, რომ მომხმარე- ბელი წინასწარ ითხოვს მოლაპარაკე- ბის შედეგად დაღენილი თანხის სა- ფასურად მიიღოს მეტი მომსახურება და საქონელი. ასეთი მომხმარებელი შეიძლება იყოს უკონფლიქტო, მაგრამ თქვენთვის ვერ მოიტანს მოგებას, იმ შემთხვევაშიც კი როცა თანამშრომ- ლობა მიმდინარეობს კარგად.

საუკეთესო დაცილების პირობები
ინტერნეტ მაღაზიისათვის ეს საკით- ხი რთული არაა – შეგიძლიათ გააგ- ზავნოთ ნაკლები წერილები ან გამორ

თოთ მომხმარებელი. თუ თქვენ მუშა- ობთ მომხმარებელის სფეროში, შეეცა- დეთ შეაფასოთ შესაძლო რისკი ხელ- შეკრულების დადებამდე ან თანამ- შრომლობის დაწყებამდე.

თუ უკვე დაიწყეთ მუშაობა, შეგვიძ- ლია გირჩიოთ:

გამოიყენეთ ყველა ის კავშირები რაც თქვენს ხელთაა: ტელეფონი, ელ-ფოს- ტა, მესენჯერი.

- შეეცადეთ დაშვებული შეცდომა არ აი- ღოთ თქვენს თავზე.
- განსაზღვრეთ რაში არ ეთანხმებით მომხმარებელს.
- შეატყობინეთ მომხმარებელს მასთან თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ.
- თავიდან იიცილეთ კონფლიქტი მაში- ნაც კი, როცა ურკავთ ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.
- შესთავაზეთ ალტერნატივე იმ შემთხვე- ვაშიც კი თუ ის თქვენი კონკურენტია.

განსაკუთრებული პირობის შემ- თხვევაში, რომელიც შეეხება თანამ- შრომლობის შეწყვეტას, გამოაქვეყნეთ ის საიტზე, რადგანაც კლიენტი იყოს გაფრთხილებული.

მომსახურეობის დაცვის მიზნით, კარგი იქნება მთელი განყოფილება და- ეთმოს სტატიას მის შესახებ.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამშრომ- ლობის შეწყვეტა შეიძლება იყოს მომ- ხმარებლის ინიციატივა, მაგრამ სანამ თანამშრომლობას შეწყვეტდეთ დარ- წმუნდით იმაში გჭირდებათ თუ არა ეს მომხმარებელი, რადგანაც თანამ- შრომლობის შეწყვეტას თქვენთვის მო- აქვს მორალური და მატერიალური და- ნაკარგი.

ერთი რამ უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა თქვენი მომხმარებელი იმსახუ- რებს კურადღებას.

შპ 681.3**ნათელა ლომიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
როგორ და როგორ მომზარებელთან ზეგაფი ურთიერთობას
რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია თუ როგორ მომხმარებელთან უნდა ვითანამზრომლოთ ისე, რომ არ დაზარალდეს ჩვენი კომპანია და როგორ მომხმარებელთან შეგვიძლია შევწყვიტოთ ურთიერთობა.

იმისათვის რომ მივიღეთ იმ დასკვნამდე გავუშვათ თუ არა მომხმარებელი, საჭიროა მრავალჯერადი გადამოწმება და ამის შემდეგ ანალიზის გაკეთება. წინასწარ შემუშავებული მომგებიანი მოდელი თანამზრომლობისათვის, გაძლევთ იმის საშუალებას, რომ მოარგო მას მომხმარებელი.

სტატიის მიზანია, რომ თავიდანვე სწორად განვსაზღვროთ და შევარჩიოთ ისეთი მომხმარებელი, რომელიც შემდგომში არ შეგვიქმნის პრობლემას ურთიერთობისათვის, სწორად დავსახოთ გზები და ამოცანები, რათა მწარმელებელიც და მომხმარებელიც იყოს კმაყოფილი.

УДК 681.3**НАТЕЛА ЛОМИДЗЕ**

Государственный Университет Акакия Церетели

С КАКИМ ПОЛЬЗОВАТЕЛЕМ ОСТАНОВИТЬ ОТНОШЕНИЯ**Резюме**

В статье показано, как клиент должен работать вместе с тем, чтобы не повредить нашей компании и с какими клиентами можем остановить отношения.

Для того, чтобы прийти к мысли с каким пользователем работать, вам нужно проверить несколько раз, а затем сделать анализ. Заранее разработать прибыльную модель сотрудничества, это даст вам возможность регулировать для того чтобы построить его под пользователя.

Цель статьи состоит в том, чтобы определить, и выбрать пользователя, который не создаст проблем в отношениях, выбрать правильные пути и цели, которые будут удовлетворены производителем и потребителем.

UDC 681.3**NATELA LOMIDZE**

AkakiTsereteli State University

WHAT THE USER TO STOP THE RELATIONSHIP**Summary**

The article shows how the client needs to work together in order to prevent damage to our company and what we can stop the customer relationship.

In order to come to the user with some ideas to work, you need to check several times, and then do the analysis. Pre-develop a profitable model for cooperation, it will give you the ability to adjust in order to build it to the user.

The purpose of this paper is to identify and select the user that will not create problems in the relationship, choose the right path and goals that will be met by the manufacturer and the consumer.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. ბეგო გამუცავილი “ცოციალური სისტემის ზემოქმედება ადამიანზე,,
2. Ковалов Роман “Продвижение бизнеса в альтернативных сетях,,
3. Халилов дамир “Маркетинг в социальных сетях,,

გვგ 6813

ნინო ლომიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რობორ შეგმენათ პოპულარული ინფორმაციული საიტი

საინფორმაციო საიტი—ესაა ადგილი, სადაც დაინტერესებულ მომხმარებელს შეუძლია მიიღოს პასუხი მის მიერ მოთხოვნილ თემაზე. ეს შეიძლება იყოს ახალი სინფორმაციო ამბების საიტი. ასეთი რესურსი ხშირად ახლდება და უნდა შეიცავდეს განსაკუთრებულ უნიკალურ კონტენტს. ინფორმაციი— ეს რეალიზაციაა პირადი ამბიციებისა და არა ხელფასი. იგი სასიამოვნო დანამატია თქვენი ცოდნისა და შრომის სანაცვლოდ.

კარგი საიტი უნდა მოიცავდეს რამდენიმე კრიტერიუმს: იდეა, რომელიც მოეწონება მომხმარებელს და შემოვა კიდევ საიტზე. იდეა შემოიყვანს საიტზე მომხმარებელს, მაგრამ მას უნდა დახვდეს შესაბამისი ინტერესისი კარგად გაფორმებული დიზაინის სახით. ასევე უნდა ქონდეს მთავარი მახასითებელი და ესაა მოხერხებულობა. ასევე კარგად უნდა იყოს გაკეთებული ნავიგაცია და უნდა მუშაობდეს სწრაფად, რათა მომხმარებელს არ მოუწიოს ლოდინი და არ შეექმნას დისკომფორტი ამის გამო.

მოთხოვნა კონტენტსა და თემაზე საიტის მართვა უნდა ემსახურებოდეს მიზანს, რომ შექმნას გარკვეული ინტერნეტაქტივობა და მოგვცეს არაპირდაპირი მოგება. მიიჩნიოს დიდი რაოდენობით ინფორმაცია მომხმარებლამდე და პოპულარიზაცია გაუწიოს მას. საიტზე მუდმივი ნაკადის შექმნა ძნელია,

მაგრამ როდესაც მომხმარებელი საძიებო სისტემაში ეძებს რაიმე ტიპის ინფორმაციას, სასურველია ჩვენი ინფორმაცია საძიებო რეზულტატის ზედა პოზიციაზე აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორ დავამატებოთ კონტენტს. ინფორმაციული საიტისათვის ტექსტური კონტენტი წარმოადგენს მთავარ ფაქტორს წარმატებისათვის. მაღალხარისახიანი კონტენტი ყოველთვის იღებს შესაბამის გამოხმურებას, რაც ხშირად სოციალურ გაზიარებებში გმოიხატება. სოცილური გაზიარება ერთგვარი მინიშვნებაა იმისა, რომ მომხმარებელი კონტენტში სასარგებლო ინფორმაციას კითხულობს. იმისათვის რომ მომხმარებელმა შეიყვაროს თქვენი საიტი, საჭიროა არამარტო დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნები, არამედ შევუნარჩუნოთ ინტერესი საიტზე განთავსებული ინფორმაციის მიმართ. თქვენ გვირდებათ ექსპერტი, შესაბამისი კომპენტეციის მქონე კარგი ავტორი. თუ ეს სიახლეების პორტალია, აუცილებლად უნდა გყავდეთ საკუთარი კორესპონდენტი, რათა აუცილებლად გქონდეთ უნიკალური სიახლეები. საუკეთესო მიმართულება ინფორმაციისათვის— ესაა საკუთარი გმოცდილება. თუ თქვენ დღეისათვის გაქვთ 20-30 იდეა საკუთარი მასალებისათვის, მაშინ თქვენ შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ თქვენი პროექტი. აუცილებელია, რომ

- მომავალში გამოჩნდეს ახალი აქტუალური თემები პუბლიკაციისათვის.
- აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რა არის უკვე ინტერნეტში, რა არ არის შემოსული ან რა არის უკვე გასული. თუ თქვენი სფერო საკმაოდ ვიწროა, ბეჭდვით გამოცემებს შეუძლიათ გაგიწიონ სერიოზული კონკურენცია. არა ამისა, თუ Offline – განყოფილება საკმაოდ პოპულარულია, Online – ე შეიძლება მოთხოვნადი აღარ იყოს. • ასეთია ბიზნესსპეციფიკა. უცილებლად დააკვირდით თქვენს სფეროში მიმდინარე ახალ მოვლენებს. ამ ინფორმაციის საფუძველზე დაწერეთ თქვენი პირადი აზრი, მომხმარებელს შეთავაზეთ თემის განხილვა.
- რერაიტინგი და სხვისი მასალების და სიახლეების გადაბეჭდვა, თუ თქვენ არ აკეთებთ ამას რაიმე ორიგინალური მანერით, არ არის საუკეთესო საშუალება უნიკალური კონტენტის მისაღებად. შეაფასეთ, ვინ წარმოადგენს თქვენს აუდიტორიას და შეისწავლეთ მათი ინტერესები. ასე თქვენი ინფორმაცია გახდება უფრო მიზიდველი და საინტერესო თქვენი მომხმარებლისათვის.
- ნუ იჩქარებთ შექმნათ ინფოპროდუქტი ტრენინის ქვეშ. ყველა სუპერპოპულარული თემა სწრაფად ძველდება. თუ თქვენ შექმნით საიტს, მაგ. **Pokemon.go**-ზე, ერთი თვის შემდეგ თემა დაკარგავს აქტუალობას და თქვენ მომდევნო წლებში მოგიწევთ რაიმე მატერიალების “ თითოდან გამოწოვა”. ეს განსააკუთრებით საინტერესო მათოვის, ვინც დაკავებულია დომენების ყიდვა-გაყიდვი.
- კიდევ რა არის საჭირო?
- დარწმუნდით, რომ იდეა აქტუალურია თქვენთვის გარკვეული დროის შემდეგაც და არ აიკიდოთ” ისეთი პროექტი, რომელიც მაღწყინდებათ.
- აუცილებლად შეუკვეთეთ ლოგო, რომ თქვენს საიტს ქონდეს “სახე”. აირჩიეთ საიტის დიზაინი, განყოფილება და შესაძლებლობები, რომლებიც თქვენ გჭირდებათ. თუ თქვენ გინდათ ამ გალდებულებების დელეგირება და კონცენტრაცია გინდათ გაკეთოთ კონტენტზე, მიმართეთ სპეციალისტს.
- აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება სტატისტიკას. ეს ახლადშექმნილი ინფორმაციული საიტისათვის წარმატების მთავარი მაჩვენებელია.
- იყავით ყოველთვის მუდამ ჩართული თქვენს პროექტში. ძნელია მოძებნოთ ისეთი ვინმე, რომელიც თქვენსვით იქნება დაინტერესებული ამ თემით.
- რაზე ვიმუშაოთ?
- მიაწოდეთ მხოლოდ პრაქტიკული რჩევები, მოიწვიეთ ცნობილი ექსპერტები, მიიღეთ მონაწილეობა პროფილურ დონისძიებებში, “იმეგობრეთ” სხვა გამომცემლებთან. აიდეთ ინტერვიუ, გაუზიარეთ გამოცდილება, იყავით მუდამ ახლოს რეალობასთან.
- მომხმარებლისათვის სასარგებლო მასალის მიწოდებისა და უნიკალური კონტენტის მიღების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს თემის შესახებ უცხოური სტატიის გადათარგმნა.
- არსებითი მაჩვენებელი ინფორმაციისა – ესაა მისი პარტნიორები. როდესაც თქვენი საიტი უკვე “გაუშვით” და გყავთ გარკვეული როდენობის მომხმარებელი, ეძებეთ ისინი, ვისოფისაც თქვენ საჭირო ხართ. მაგ. გამომცემლობები, რომლებიც უშვებენ თქვენი თემატიკის ლიტერატურებს. მოაწყეთ ბარტერი:

წიგნის დაანონსების სანაცვლოდ სოც.ქსელში ან სიტზე თქვენი რესურსების მოხსენიება.

დასაწყისისთვის თქვენ შეგიძლიათ შექმნათ 20-30 მასალა თვეში. რა თქმა უნდა ყველა მათგანი არ იქნება ინტერვიუ ცნობილ პირებთან, მაგრამ ყველა მასალა აუცილებლად უნდა იყოს საჭირო. ვიზიტორებისა და მასალების რაოდენობა აუცილებლად უნდა გაზარდოთ. თუ რაღაც მომენტში შეყოვნდებით, ტემპს დააგდებოთ და მიმართავთ დახმარებისთვის “freelancers”, თქვენი პუბლიკაციების ხარისხი დაეცემა. აუცილებლად შეარჩიეთ ისეთები, ვინც გამოცდილია თქვენს თემებში.

მოაწესრიგეთ აუდიტორიასთან ურთიერთობა, რომ გაიგოთ როგორ ინფორმაცი სჭირდებათ მათ. მკითხველები დაინტერესებული არიან დირექტული მასალის მიღებით – თქვენ კი ეს უნდა შეძლოთ.

ყოველთვის საჭირო რჩევაა–გაითვლისწინოთ საძიებელი კითხვები თქვენი მასალების დასათავრებაში.

ახალი ამბების აქტულობის ვადა ყოველთვის მცირეა, ეს ნიშნავს რომ საჭიროა დავიცვათ ბალნეი და პერიოდულდ ავწიოთ და ხელახლა გავააქტიუროთ არსებული მასალები. მაგ. მივიღოთ კომენტარები, განვაახლოთ და ისე შევთავაზოთ მკითხველს.

თუ თქვენი საიტი ყოველდღიურად ახლდება, საძიებო სისტემები ამაზე რეაგირებენ და რთავენ “რობოტს”, რომელიც ახდენს გვერდების ინდექსირებას უფრო სწრაფად.ეცადეთ მოხვდეთ “Google News“, “Rambler News“, “Liveinternet News“ მაშინაც კი, როცა ამ შესაძლებლობის მცირედ გჯერათ.

შექმნით ლენდინგბი გამომწერთა ბაზების შესაგვებათ. ჩართეთ კონტექსტური რეკლამა, იმუშავეთ საშუალო პოპულარულ “Youtube” ბლოგერებთან.

მოგების მიღების საშუალებები მუშაობა რეკლამის შექმნელებთან – ეს პირველია, რასაც თქვენ შეგიძლიათ გაუწიოთ რეალიზება. ეს ამართლებს მაშინ, როცა თქვენი საიტი ვიწრო სპექტრისა და მათი ანალოგი ძალია ცოტაა.

კიდევ ერთი საშუალება შემოსავლის მიღებისა–ესაა ძლიერი “მიმოსვლა”, რომელიც აუცილებლად უნდა უზრუნველყოთ თქვენი საიტისათვის. შეგიძლიათ ფასიანი გახადოთ წვდომა საიტის მასალებზე. ამისთვის გამოიყენეთ მასალების ანონსი. შექმნით ბაზები მათთვის, ვინც ფული გადაიხადა და გაუგზავნეთ მათ ამონაწერი ტესტებიდან, რომლითც ისინი დაინტერესდნენ. ინფორმაციებს შეუძლიათ დაგეხმარონ თქვენი ბიზნესის წინწაწევაში.

უაკ 6813

ნინო ლომიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რობორ შევქმნათ კოპულარული ინფორმაციული საიტი
რეზიუმე

მომხმარებლის დაგმაყოფილებას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებისათვის. ამიტომ დღეს მაღალი კონკურენციის პირობებში, მნიშვნელოვანია შევქმნათ საიტი, რომელიც მოსახერხებელი და ამავე დროს საინტერესო იქნება მომხმარებლისათვის. ჩვენ გვაქვს სულ რამოდენიმე წამი იმისთვის, რომ

ვიზუალურ მოვახდინოთ კარგი შთაბეჭდილება და მივაწოდოთ მიხეთვის საჭირო ინფორმაცია.

სტატიის მიზანია, დაგვანახოს ორმ ინფორმაციული საიტი – ეს არის კარგი საშუალება გამოცდილების გაზიარებისათვის და დაინტერესებული აუდიტორიის ყურდების მიქვევისათვის. ეს ის პროექტებია, რომლებიც ითხოვენ მთელი ძალისხმევის ჩადებას და ყურადღების მიქვევას. დროთ განმავლობაში მათ შეუძლიათ მოიგანონ საგრძნობი მოგება და მოგეხმაროთ ბიზნესის განვითარებაში.

УДК 681.3

НИНО ЛОМИДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели

КАК СОЗДАТЬ ПОПУЛЯРНЫЙ САЙТ ДЛЯ ИНФОРМАЦИИ

Резюме

Удовлетворенность пользователей имеет большое значение для успеха. Таким образом, на сегодняшний день очень конкурентная среда, важна для создания веб-сайт, который является удобным и в то же время интересным для пользователей. У нас есть всего несколько секунд, чтобы произвести хорошее впечатление на посетителей и предоставить им необходимую информацию.

Цель состоит в том, чтобы продемонстрировать, что это хорошая возможность для обмена информации на сайте и большое достижение для заинтересованной аудитории. Это проекты, которые востребованы и нужно приложить все усилия, чтобы привлечь внимание. Со временем они могут принести значительные выгоды, и мы будем оказывать помощь в развитии бизнеса.

UDC 681.3

NINO LOMIDZE

Akaki Tsereteli State University

HOW TO CREATE A POPULAR WEBSITE FOR INFORMATION

Summary

User satisfaction is very important for success. Thus, to date, very competitive environment, it is important to create a website that is user friendly and at the same time interesting for the users. We have only a few seconds to make a good impression on visitors and provide them with the necessary information.

The goal is to demonstrate that this is a good opportunity for the exchange of information on the site and is a great achievement for the interested audience. These are projects that are in demand and the need to make every effort to attract attention. Over time, they can bring significant benefits, and we will assist in business development.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. Ковалов Роман “Продвижение бизнеса в альтернативных сетях”
2. Халилов дамир “Маркетинг в социальных сетях”

საკ 631.147

ბ. ბორბოძე, ი. ბოჭობიძე, ნ. სინაშვილი, გ. გაბიძაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**გურძნის ფიზიკური ზეთის ექსტრაქციის საჭარმო
ექსპრიმენტის დაბებუბა**

(სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გრანტი FR/368/3-200/14 ფარგლებში)

ეურძნის წიაღის ბურბულებულადან
ზეთის ექსტრაქციის საწარმოო
ექსპერიმენტის ცენტრალური კომპოზი-
ციური როტატიულური დაგეგმვის
მატრიცა და ცდების შედეგები მოყვა-
ნილია ცხრ. 1-ში წითელი ეურძნის
წიაღისათვის და ცხრ.2-ში თეთრი

ეურძნის წიაღისათვის. დაგეგმვის
შერჩეულ მატრიცაში შევიდა ოთხი
ფაქტორი: ექტრაქციის ტემპერატურა t ,
მისი ხანგრძლივობა m , გამხსნელისა
და ბურბულებას მასური თანაფარ-
დობა n და პულსაციისას რხევების
სიხშირე T .

ცხრილი 1
წითელი ეურძნის წიაღის ბურბულებულადან ზეთის ექსტრაქციის ექსპერიმენტის
დაგეგმვის მატრიცა და ცდების შედეგები

№ რიცხვი	ჩატარების №	X_1	X_2	X_3	X_4	$Y_1, \text{ გვ/გ } (B)$	$Y_2, \text{ დოლ. /გ } (E)$	$Y_2/Y_1, \text{ (D) დოლ./გვ}$
1	19	-1	-1	-1	-1	115	148	1,29
2	3	1	-1	-1	-1	123	166	1,35
3	7	-1	1	-1	-1	143	168	1,17
4	1	1	1	-1	-1	151	186	1,23
5	15	-1	-1	1	-1	145	170	1,17
6	11	1	-1	1	-1	153	200	1,31
7	2	-1	1	1	-1	161	190	1,18
8	5	1	1	1	-1	181	220	1,21
9	12	-1	-1	-1	1	109	148	1,36
10	4	1	-1	-1	1	141	166	1,18
11	6	-1	1	-1	1	137	168	1,23
12	8	1	1	-1	1	169	186	1,1
13	10	-1	-1	1	1	139	170	1,22
14	13	1	-1	1	1	171	200	1,17
15	23	-1	1	1	1	167	190	1,14
16	20	1	1	1	1	199	220	1,1
17	9	-2	0	0	0	133	145	1,09
18	18	2	0	0	0	173	193	1,11

19	21	0	-2	0	0	121	165	1,36
20	14	0	2	0	0	177	205	1,16
21	16	0	0	-2	0	115	157	1,36
22	22	0	0	2	0	175	213	1,22
23	24	0	0	0	-2	151	185	1,22
24	17	0	0	0	2	163	185	1,13
25	25	0	0	0	0	165	185	1,12
26	26	0	0	0	0	165	185	1,12
27	27	0	0	0	0	165	185	1,12
28	28	0	0	0	0	165	185	1,12
29	29	0	0	0	0	165	185	1,12
30	30	0	0	0	0	165	185	1,12
31	31	0	0	0	0	165	185	1,12

ცხრილი 2

თეორი ყურძნის წიაღის ბურბუშელადან ზეთის გქსტრაქციის გქსპერიმენტის
დაგეგმვის მატრიცა და ცდების შედეგები

№ რიცხვი	ჩატარების №	X_1	X_2	X_3	X_4	$Y_1, \text{ ჯგ/გ } (B)$	$Y_2, \text{ დოლ } / \text{გ } (E)$	Y_2 / Y_1 (D) დოლ/გ
1	19	-1	-1	-1	-1	101	150	1,48
2	3	1	-1	-1	-1	109	164	1,5
3	7	-1	1	-1	-1	125	166	1,33
4	1	1	1	-1	-1	133	180	1,35
5	15	-1	-1	1	-1	129	168	1,3
6	11	1	-1	1	-1	137	194	1,42
7	2	-1	1	1	-1	153	184	1,2
8	5	1	1	1	-1	161	210	1,3
9	12	-1	-1	-1	1	95	150	1,58
10	4	1	-1	-1	1	123	164	1,33
11	6	-1	1	-1	1	119	166	1,39
12	8	1	1	-1	1	147	180	1,22
13	10	-1	-1	1	1	123	168	1,36
14	13	1	-1	1	1	151	194	1,28
15	23	-1	1	1	1	147	184	1,25
16	20	1	1	1	1	175	210	1,2
17	9	-2	0	0	0	115	148	1,29
18	18	2	0	0	0	151	188	1,24
19	21	0	-2	0	0	109	164	1,5
20	14	0	2	0	0	157	196	1,25
21	16	0	0	-2	0	101	156	1,54
22	22	0	0	2	0	157	204	1,3

23	24	0	0	0	-2	133	180	1,35
24	17	0	0	0	2	141	180	1,28
25	25	0	0	0	0	145	180	1,24
26	26	0	0	0	0	145	180	1,24
27	27	0	0	0	0	145	180	1,24
28	28	0	0	0	0	145	180	1,24
29	29	0	0	0	0	145	180	1,24
30	30	0	0	0	0	145	180	1,24
31	31	0	0	0	0	145	180	1,24

რეგრესიის კოეფიციენტების არსებობას ვამოწმებდით სტიუდენტის კრიტერიუმით უტყუარობის $0,95$ დონისა და $f_2=30$ თავისუფლების ხარისხისათვის, ხოლო მიღებული რეგრესიის განტოლებების

ადეპტატურობას ვამოწმებდით ფიშერის კრიტერიუმით. სტატისტიკურად არაარსებითი ეფექტების გამორიცხვის შემდეგ მივიღეთ შემდეგი სახის ადეპტატური რეგრესიის განტოლებები:

წითელი კურძნის წიაღისათვის:

$$Y_1 = 165 + 10X_1 + 14X_2 + 15X_3 + 3X_4 + 6X_1X_4 - 3X_1^2 - 4X_2^2 - 5X_3^2 - 2X_4^2; \quad (1)$$

$$Y_2 = 185 + 12X_1 + 10X_2 + 14X_3 + 3X_1X_3 - 4X_1^2; \quad (2)$$

$$D=Y_2/Y_1. \quad (3)$$

თეთრი კურძნის წიაღისათვის:

$$Y_1 = 145 + 9X_1 + 12X_2 + 14X_3 + 2X_4 + 5X_1X_4 - 3X_1^2 - 3X_2^2 - 4X_3^2 - 2X_4^2; \quad (4)$$

$$Y_2 = 180 + 10X_1 + 8X_2 + 12X_3 + 3X_1X_3 - 3X_1^2; \quad (5)$$

$$D=Y_2/Y_1. \quad (6)$$

განტოლებები (1), (2), (4) და (5) ექსპერიმენტულადაა მიღებული, ხოლო განტოლებები (3) და (5) მათგანაა შემდგომი დამუშავებით გამოყვანილი. ამასთან, განტოლება (3) და (6) წარმოადგენს ერთეული მიზნობრივი პროდუქტის წარმოებაზე ენერგეტიკულ თვითდირებულებას, შესაბამისად, წითელი და თეთრი კურძნის წიაღისათვის. ყველა შემთხვევაში კმაყოფილდება პირობა: $F_{\text{საანგარ.}} < F_{\text{კრიტ.}}$ [58].

წიაღისათვის.

მიღებული რეგრესიის განტოლებების სტატისტიკური ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრ.3 და ცხრ.4-ში, შესაბამისად, წითელი და თეთრი კურძნის წიაღისათვის. ყველა შემთხვევაში კმაყოფილდება პირობა: $F_{\text{საანგარ.}} < F_{\text{კრიტ.}}$ [58].

ცხრილი 3

რეგრესიის განტოლებების აღეკვატურობის სტატისტიკური ანალიზის შედეგები
(წითელი ყურძნის წიპჭისათვის)

პრამეტრები Y(i)	f ₁	f ₂	S ² y	S ² ორა- ად	α	t _{0,95:31}	F _{საან}	F _{გრ}
B ₀ (Y ₁), კგ/ტ	6	16	7,5	17,350	0,95	2,447	2,313	3,92
E (Y ₂), დოლ/ტ	6	19	7,1	15,950	0,95	2,447	2,246	3,89

ცხრილი 4

რეგრესიის განტოლებების აღეკვატურობის სტატისტიკური ანალიზის შედეგები
(თეორიურ ყურძნის წიპჭისათვის)

პრამეტრები Y(i)	f ₁	f ₂	S ² y	S ² ორა- ად	α	t _{0,95:31}	F _{საან}	F _{გრ}
B ₀ (Y ₁), კგ/ტ	6	16	6,6	18,150	0,95	2,447	2,750	3,92
E (Y ₂), დოლ/ტ	6	19	6,2	16,150	0,95	2,447	2,573	3,89

მიღებულ რეგრესიის განტოლებებში X_i ცვლადები კოდირებულ მასშტაბშია მოცემული. მათ ნატურალურ მასშტაბში გადაკვანას მოვახდენთ ექსპრიმენტის პირობების გათვალისწინებით შემდეგი ფორმულებით:

$$X = (t - 60)/10; \quad X = (m - 60)/10; \quad X = n - 7; \quad X = T - 3. \quad (7)$$

გამოძახილების ზედაპირების ერთომადი კვეთები, რომელებიც (1) – (5) განტოლებების მიხედვითაა აგებული, მოცემულია ნახ.2, ნახ. 3-ზე. ყოველი ფაქტორისათვის გრაფიკები აგებულია იმ პირობით, რომ დანარჩენი ფაქტორების მნიშვნელობები დაფიქსირებული იყოს ძირითად (ნულოვან) დონეზე.


მიღებული რეგრესიის განტოლებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველა ფაქტორი მნიშვნელოვნად მოქმედებს ოპიმიზაციის შერჩევლ პარამეტრებზე.

X₁ ფაქტორის ცვლილებით ოპიმიზაციის პარმეტრები პარაბოლურად იცვლებიან ისე, რომ E და B₀ პარამეტრებს აქვთ გამოხატული მაქსიმუმები ექსპრიმენტის არეში ან მასთან ახლო, ხოლო D პარამეტრს ექსპრიმენტის არეში აქვს მაქსიმუმი წითელი


წიპჭისათვის და მინიმუმი – თეორიუმისათვის (ექსპერიმენტის ცენტრის ახლოს, მარჯვნივ, თუმცა ეს სიდიდეები არ არიან მკვეთრად გამოხატული (საშუალო მნიშვნელობასთან ახლოსაა).

X₂ ფაქტორის გავლენით ოპიმიზაციის 0 პარმეტრი პარაბოლურად იზრდება ისე, რომ ექსპერიმენტის არეში მაქსიმუმი არ ჩანს, ხოლო პარამეტრი E წრფივად იზრდება. რაც შეეხება D პარმეტრს, ის პარაბოლურად იცვლება მინიმუმით ექსპერიმენტის ცენტრთან ახლოს, მარჯვნივ.

განსაკუთრებულ გავლენას მიზნობრივი პროდუქტის გამოსავლიანობასა და ენერგოდანახარჯებზე ახდენს X₃ ფაქტორი (ფარდობა "ექსტრაგენტი/წიპჭა"). ფაქტორის გაზრდით B₀ პარამეტრი პარაბოლურად იცვლება ისე, რომ მაქსიმუმი (+1) – (+2) ინტერვალში უნდა ვეძებოთ; რაც შეეხება E პარამეტრს, ის ორივე სახის წიპჭისათვის წრფივად იზრდება (ნახ.2–ნახ.3). D პარამეტრი X₃ ფაქტორის გაზრდით პარაბოლურად იცვლება მკვეთრად გამოსახული მინიმუმით ექსპერიმენტის ცენტრთან ახლოს, მარჯვნივ.



ნახ. 2. რეგრესიის განტოლებების ერთზომადი კვეთები წითელი ყურძნის წილისათვის



ნახ. 3. რეგრესიის განვილებების ერთზომადი კვეთუები ოქთორი ყურძნის წარმოსათვის

X₄ ფაქტორს აქვს მკვეთრად გამოსახული მაქსიმები B₀ პარამეტრებისათვის ძირითად დონესთან ახლოს, მარჯვნივ. ხოლო ამ ფაქტორის ცვლილება E პარამეტრებზე გავლენას პრაქტიკულად არ ახდენს (ნახ.2–ნახ.3). რაც შეეხება D პარამეტრს, ის თრივე სახის წიპჭისათვის X₄ ფაქტორის ცვლილებით პარაბოლურად იცვლება მკვეთრად გამოხსატული მინიმუმით ექსპერიმენტის ცენტრის ახლოს, მარჯვნივ.

ოპტიმიზაციის B₀ პარამეტრისათვის

ორმაგი ეფექტების ზედაპირები აჩვენებს, რომ ყველა ეფექტს გარდა Y₁(X₁X₄) ეფექტისა, ორივე სახის ყურძნის წიპჭისათვის აქვს ამოზნექილი პარაბოლოიდის ფორმა ექსპერიმენტის არეში, რომელთა პიკების კოორდინატები მოცემულია ცხრ.5–ში. Y₁(X₁X₄) ეფექტების ზედაპირებს როგორც წითელი, ისე თეთრი ყურძნის წიპჭისათვის აქვთ უნაგირის ფორმა ექსტრემალური წერტილების გარეშე.

ცხრილი 5

ორმაგი ეფექტების ლოკალური ექსტრემალური წერტილების კოორდინატები

ორმაგი ეფექტები	წითელი ყურძნის წიპჭა			თეთრი ყურძნის წიპჭა		
	X _i	X _j	შენიშვნა	X _i	X _j	შენიშვნა
X ₁ X ₂	X ₁ =1,68	X ₂ =1,75	–	X ₁ =1,5	X ₂ =2	–
X ₁ X ₃	X ₁ =1,68	X ₃ =1,5	–	X ₁ =1,5	X ₃ =1,75	–
X ₁ X ₄	–	–	არ იძებნება	–	–	არ იძებნება
X ₂ X ₃	X ₂ =1,75	X ₃ =1,5	–	X ₂ =2	X ₃ =1,75	–
X ₂ X ₄	X ₂ =1,75	X ₄ =0,75	–	X ₂ =2	X ₄ =0,5	–
X ₃ X ₄	X ₃ =1,5	X ₄ =0,75	–	X ₃ =1,75	X ₄ =0,5	–

მიღებული შედეგების წინასწარი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიზნობრივი პროდუქტის მაქსიმალური გამოსავლიანობა უნდა ვეძებოთ, როცა $X_i \geq 1$, რაც სრულ შესაბამისობაშია

ოპტიმიზაციის B₀ პარამეტრისათვის რეგრესიის განტოლების ერთზომადი კვეთების ანალიზისას გაპეტებულ დასაგნებთან

უაკ 631.147

ბ. ბორბორი, ი. ბოჭოიძე, გ. სინაშრიძე, გ. ბაბიძაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურამის ფილიალის ზეთის ემსტრაქციის საჭარმოო
ემსავრიმენტის დაგებმგა

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ყურძნის წიპჭის ბურბუშელადან ზეთის ექსტრაქციის საწარმოო ექსპერიმენტის ცენტრალური კომპოზიციური როტატაბელური დაგეგმვის მატრიცა. მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიზნობრივი პროდუქტის მაქსიმალური გამოსავლიანობა უნდა ვეძებოთ, როცა $X_i \geq 1$, რაც

სრულ შესაბამისობაშია ოპტიმიზაციის სარამეტრისათვის რეგრესიის განტოლების ერთხომადი პერიოდის ანალიზისას გაკეთებულ დასკვნებთან.

УДК 631.147

Г. ГОРГОДЗЕ, И. БОЧОИДЗЕ, Н. СИНАУРИДЗЕ, М. ГАБИДЗАШВИЛИ

Государственный Университет Акакия Церетели

**ПЛАНИРОВАНИЕ ПРОИЗВОДСТВЕННОГО ЭКСПЕРИМЕНТА ЭКСТРАКЦИИ
МАСЕЛ ИЗ ВИНОГРАДНЫХ СЕМЯН**

Резюме

В статье рассмотрена матрица центрального композиционного ротатабельного планирования производственного эксперимента экстракции масел из стружки виноградных семян. Полученные данные свидетельствуют, что максимальный выход целевого продукта надо искать при $X_i \geq 1$, что полностью соответствует выводам анализа сечений уровней регрессии для параметра оптимизации B_0 .

UDC 631.147

G. GORGODZE, I. BOCHOIDZE, N. SINAURIDZE, M. GABIDZASHVILI

Akaki Tsereteli State University

DESIGN OF EXPERIMENT FOR PRODUCTION OF GRAPE-SEED EXTRACT OIL

Summary

The paper dwells on central composite rotatable design matrix for experiment aiming at production of grape-seed oil. Analysis of findings has shown that we should seek maximal yield of target product, when $X_i \geq 1$, that is full compliance with conclusions made during analysis of one-dimensional sections of optimization B_0 regression equation.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. გ. ხვედელიძე. ქმიურ-ტექნოლოგიური ექსპრიმენტის მათემატიკური უზრუნველყოფა/ქუთაისი: აჭარა, 2011 - გ. 106.
2. გორგოძე გ. ყურძნის ზეთის ექსტრაქციის პროცესის ოპტიმიზაცია // ქუთაისი, აჭარა, 2013, № 11. -გ.54–60.

შაბ 547.913:543.2

ლეგან ყიზიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეთერზეთების ბამოყოფისა და ანალიზის მეთოდები

ეთერზეთებიანი ფლორა დაახლოებით მცენარეების 3000 სახეობას ითვლის, რომელთა დიდი ნაწილი მშრალ სუბტროპიკებზე მოდის. საწარმოო მნიშვნელობა 150-200 ეთერზეთს აქვს, რომლებიც გამოიყენებიან კოსმეტიკაში, პარფიუმერიაში, კვების და ფარმაცევტულ მრეწველობაში [1].

მცენარეები ეთერზეთებს, როგორც წესი, მცირე რაოდენობით შეიცავენ – 0,01-1,0%-ის რაოდენობით, თუმცა გვხვდება ისეთი სახეობები, რომლებიც ეთერზეთებს შეიცავენ 10,0% და 20-22%-ის რაოდენობითაც კი (მიხაკის კოკრები). პირველი ეტაპი, რომელიც წინ უსწრებს ეთერზეთების ანალიზს, არის მათი გამოყოფა. ბუნებრივი ნედლეულიდან ეთერზეთების გამოყოფის მეთოდები მათი შემდგომი ანალიზის მიზნით შემდეგია: წყლის ორთქლით გადადენა, ექსტრაქცია, მყარ სორბენტებზე და კრიოდამჭერებზე კონცენტრირება, ანფლერაჟი [2, 3].

მცენარეული მასალისაგან ეთერზეთების გამოყოფის კველაზე გაგრცელებული მეთოდია წყლის ორთქლით გადადენა. ფარმაკოპეას XI გამოცემაში მოყვანილია მცენარეული მასალისაგან ეთერზეთების პიდროდისტილაციის დახმარებით გამოყოფის 4 მეთოდი. ამ მეთოდებში იყენებენ სხვადასხვა კონსტრუქციის მინის ხელსაწყოებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან 0,02 მლ-ის სიზუსტით გაიზომოს გამოყოფილი ზეთის მოცულობა [4].

ეთერზეთის გამოსავალსა და შედგენილობაზე გავლენას ახდენს მცენა-

ნეული ნედლეულის წინასწარი მომზადება და გადადენის ხანგრძლივობა. გარდა ამისა მნიშვნელობა აქვს ორთქლის ტემპერატურას და წნევას. გადახურებული ორთქლით გადადენის დროს პროცესის ხანგრძლივობა მცირდება, ზეთის გამოსავლიანობა ყველაზე სრულია, ამიტომ მრავალი ეთერზეთების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდის უარყოფითი მხარეა მცირე სიზუსტე და მცენარეული ნედლეულის საწარმოო გადამუშავების პრინციპებთან შეუთავსებლობა. პიდროდისტილაციის უპირატესობაა – ეთერზეთის სუფთა სახით მიღების შესაძლებლობა, ხოლო ნაკლი – ეთერზეთის თერმოლაბილური კომპონენტების დაშლა და სხვადასხვა ქიმიური გარდაქმნა მაღალი ტემპერატურების ზემოქმედებით. არსებობს ეთერზეთების გამოყოფის კომბინირებული მეთოდი ორთქლით გადადენისა და მათი დისტილატებიდან ორგანული გამსხველებით ექსტრაქციის შეთავსების საშუალებით.

ეთერზეთების გამოყოფისა და კონცენტრირების მეორე მეთოდია აქროლადი ნივთიერებების დაჭერა სორბენტებით (ტენაკსი, პოლისორბი) ან კრიოდამჭერებით. ეს მეთოდი მოსახერხებელია იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია ადგილადაჭროლადი ნივთიერებების გამოკვლევა აიროვან ნიმუშებში. აქროლადი ნივთიერებების შემცველ გარკვეული მოცულობის აირს ატარებენ სორბენტიან მილში ან კაპილარში, რომელიც თხევადი აზოტით ცივდება. ამის შემდეგ სორბენტიანი მილის ან

კრიოდამჭურის სწრაფი გახურებით 200-205°C ტემპერატურამდე აირ-მარაჟებლის ნაკადში, ეთერზეთები გადადიან ქრომატოგრაფის სვეტში. ეს პროცედურა დაკავშირებულია ლაბილური ნაერთების დაშლისა და იზომერიზაციის რისკთან.

ეთერზეთების ექსტრაქციას ატარებენ იმ შემთხვევაში, როცა მისი კომპონენტები თერმოსტაბილურია და განიცდიან დესტრუქციას წყლის ორთქლით გადადენის დროს. ექსტრაქციას ატარებენ დუღილის დაბალი ტემპერატურის მქონე ორგანული გამსსნელებით (პეტროლეინის ეთერი, დიეთოლეთერი, აცეტონი და სხვა). სშირად ექსტრაქციას ანხორციელებენ გარკვეული დროის განმავლობაში (ზოგჯერ რამდენიმე დღე-დამემდე) სოქსლების ტიპის აპარატში. მიღებული ექსტრაქტის კონცენტრირება მიმდინარეობს აორთქლებით ინერტული აირის ნაკადში ან წნევის შემცირებით დაბალ ტემპერატურებზე. ამ მეთოდის უპირატესობას შეიძლება მივაკუთვნოთ ნიმუშიდან თერმოლაბილური და მცირედ აქროლადი ნივთიერებების გამოყოფის შესაძლებლობა, ნაკლოვანებებს – გამონაწვლილის კონცენტრირების აუცილებლობა (შეიძლება გამოიწვიოს ადგილად აქროლადი ნივთიერებების დაკრიცვა), აიროვანი ქრომატოგრაფის სვეტის ამაორთქლებლის არააქროლადი შენაერთებითა და მათი დაშლის პროდუქტებით დაბინძურების შესაძლებლობა.

ანფლერაჟის საშუალებით გამოყოფენ ეთერზეთებს, რომელთა შემცველობა ნედლეულში ძალიან მცირეა (ვარდის, ლანდიშის ყვავილები და სხვა).

გამოწურვა მეთოდია, რომელსაც იყენებენ მსხვილ საცავებში მოთავსებული ეთერზეთებით მდიდარი ნედლეულისათვის. ეს მეთოდი შემუშავებულია ციტრუსების – ლიმონი, ფორთონალი, ბერგამოტი – ნაყოფის კანისა-

გან ზეთის მისაღებად. გამოყოფილი ეთერზეთები გამოირჩევიან უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე გადადენით მიღებული [2].

ეთერზეთების და ტერპენული ნაეთების, როგორც მათი შემადგენელი ნაწილის, ანალიზის მთავრი თავისებურებაა, რომ მცენარეებში ისინი უფრო ხშირად გვხვდებიან რთული ნარევების შემადგენლობაში, რომლებიც შეიცავენ რამდენიმე ათეულ ინდივიდუალურ ნივთიერებას განსხვავებული კონცენტრაციით.

ეთერზეთების ნამდვილობას ადგენენ მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით. განსაზღვრავენ მოქმედი ნივთიერებების ფერს, სუნს, გემოს, სიმკვრივეს, ხვედრით ბრუნვას, გარდაბების მაჩვენებელს, სპირტში ხსნადობას, მჟავურ და ეთერულ რიცხვს, შედგენილობას [5].

ეთერზეთების სიმკვრივე მერყეობს 0,69-1,188 ზღვრებში. პოლარიზაციის სიბრტყის ბრუნვის კუთხე ასახავს ოპტიკურად აქტიური ნივთიერებების შედგენილობას, და რადგანაც ეთერზეთები წარმოადგენენ ოპტიკურად აქტიური ნივთიერებების ნარევს, ამიტომ პოლარიზაციის სიბრტყის ბრუნვის კუთხე არის ნარევში შემავალი ინგრედიენტების ბრუნვის კუთხეების ჯამი და იგი გვიჩვენებს ეთერზეთის ხარისხს. ეთერზეთების სპირტში (96% ან 70%-ში) ხსნადობა იძლევა წარმოდგენას მისი ნამდვილობისა და ხარისხის შესახებ. ნაშირწყალებადების უმრავლესობა ცუდად იხსნება სპირტში, განსაკუთრებით განზავებულში. ხსნადობის ნორმებიდან გადახრა წარმოადგენს ეთერზეთის უხარისხობის კრიტერიუმს.

ეთერზეთების ხარისხობრივი მაჩვენებლების დასადგენად საზღვრავენ მჟავურ და ეთერულ რიცხვს (აცეტილირებამდე და მის შემდეგ). თავისუფალი სპირტების რაოდენობას ეთერზეთებში ადგენენ აცეტილირების და

ეთერული რიცხვის განსაზღვრის გზით (აცეტილინგბამდე და მის შემდეგ) [2,5].

საწყის ეტაპებზე ეთერზეთებს შეისწავლიდნენ ქ. წ. კლასიკური მეთოდებით: განსაზღვრავდნენ ფიზიკურ თვისებებს (სიმკვრივეს, პოლარიზაციული სხივის ბრუნვის კუთხეს, გარდატენის მაჩვენებლს, გაყინვის, ლილობის, დუღილის ტემპერატურებს) და ქიმიურ მაჩვენებლებს (ეთერულ და მჟავურ რიცხვებს, ეთერულ რიცხვს აცეტილორების შემდეგ). ეთერზეთების მთავარი კომპონენტების რაოდენობას განსაზღვრავდნენ ქიმიური მეთოდებით (სპირტების აცეტილირება, ეთერების შესაპავნა, ფენოლების ექსტრაქცია ტუტეების წყალსნარებით). ეთერზეთების თვისობრივი შედგენილობის განსაზღვრისათვის ახდენდნენ მათ ფრაქციონირებას ჯგუფური ქიმიური რეაქციების საშუალებით ან გადადენას ინდივიდუალური შენაერთების გამოყოფის მიზნით, რომელთა იდენტიფიცირება მიმდინარეობდა მათი კრისტალური წარმოებულების ტემპერატურებისა და დამახასიათებელი ქიმიური რეაქციების მიხედვით.

1940-1960 წწ პერიოდი ხასიათდება ეთერზეთების ანალიზში დაყოფისა და ანალიზის ახალი ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების შემოტანით, როგორიცაა ქრომატოგრაფია – თხელფენოვანი, ქაღალდის, სვეტური და აირსითხური ქრომატოგრაფია ტერპენული ნაერთების ნარევების დასაყოფად სპექტროსკოპული მეთოდების (ულტრაინფრანგიური, ინფრაწილები, ბირთვულ-მაგნიტური სპექტროსკოპია, რენტგენოსტრუქტურული მეთოდი) გამოყენებით.

თხელფენოვანმა და ქაღალდის ქრომატოგრაფიამ დიდი როდი შეასრულა ტერპენების ნარევების კვლევებში. ეს მეთოდები საშუალებას იძლევა ჩატარდეს ძირითადი კომპონენტების თვისობრივი და ნახევრად რაოდენობითი განსაზღვრა. თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით ეთერზეთების

დაყოფისათვის სორბენტის სახით ყველაზე ხშირად იყენებენ სილიკაგელს და ალუმინის ოქსიდს. დაყოფის დროს მოძრავ ფაზას წარმოადგენს ნ-ჰექსანი, ბენზოლი, ქლოროფორმი და მათი ნარევები ეთილაცეტატთან, პეტროლეინის ეთერთან ერთად. სპირტები შეიძლება დაგაცილოთ მეთილის სპირტისა და წყლის ნარევში (7:3) პარაფინით ან სილიკონის ზეთით დამუშავებულ ვენებზე. კარბონილურ ნაერთებს განაცალკევებენ სისტემებში, რომლებიც შეიცვალ ეთილაცეტატს: ეთილაცეტატი – ნ-ჰექსანი (3:17), ეთილაცეტატი – ქლოროფორმი (1:9), ეთილაცეტატი – ბენზოლი (3:17). დეტექტირებას ატარებენ ქრომატოგრამების დასხივებით ულტრაინფრანგერ-სინათლეგი ან რენტგენგამამუდავნებლების (50% გოგირდმჟავა, ზოგჯერ ვანილინის ან ანისის ალდეჰიდის დამატებით, სტიბიუმის ქლორიდი, ფოსფორმოლიბდენის მჟავა) დახმარებით. მეთოდის ნაკლია ანალიზის ხანგრძლივობა, დაყოფის მცირე უფასებულება, ნარევის კომპონენტების რაოდენობრივი განსაზღვრის დაბალი სიზუსტე [2, 6, 7].

სპექტროსკოპული მეთოდების (უი-, იწ-, ბმრ-სპექტროსკოპიის) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ეთერზეთებიდან ტერპენების ინდივიდუალური სახით გამოყოფის შემდეგ. მათი გამოყენება დღეისათვის გამართლებულია პირველად გამოყოფილი ნივთიერებების სტრუქტურის დასადგენად [8].

ულტრაინფრანგიური სპექტროსკოპია ზოგჯერ გამოიყენება ტერპენების სტრუქტურაში შეუღლებული ქიმიური ბმების არსებობისა და ხასიათის განსაზღვრისათვის. ვუდვორდის მიერ შემოთავაზებული და ფიზიკის მიერ სახეშეცვლილი ემპირიული წესებით შეიძლება ვივარაუდოთ მაღალი ინტენსივობის შთანთქმის ზოლის მაქსიმუმის მდებარეობა ისეთ სისტემებში, როგორცაა შეუღლებული დიენები, ტრიენები, კეტონები. შთანთქმის ზოლის მაქ-

სიმუშის მდებარეობა განისაზღვრება ძირითადი ქრომოფორის ბუნებით და მისი ჩანაცვლების ხარისხით.

ინფრაწითელი სპექტროსკოპია მნიშვნელოვნად ავსებს ულტრაინისფრ სპექტროსკოპიას. ტერპენების ქიმიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია სპექტრის ორი უბანი. შთანთქმის ზოლები დაახლოებით 3650-2650 სმ-1 უბანში (თუ არ ჩავთვლით C-H რევებს) ტერპენების შემთხვევაში თითქმის ყოველთვის დამახასიათებელია O-H ბმების რევებისათვის. სწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში ამ უბანში შთანთქმის ზოლები შეიძლება მოწმობდნენ პიდროქსი- ან მისი მონათესავე ჯგუფების არსებობას. შთანთქმა სპექტრის მეორე და უფრო მნიშვნელოვან უბანში (დაახლოებით 1820-1640 სმ-1), თუ იგი საკმარისად ინტენსიურია, ჩვეულებრივ პასუხობს C=O რევებს. ამ უბანში შთანთქმის მაქსიმუმის მდებარეობის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს წარმოადგენს თუ არა ნაერთი ნაჯერ ან შეუდლებულ ეთერს, ალდეჰიდს, კეტონს, მჟავას, ლაქტონს ან ანჰიდრიდს. მნიშვნელოვანი, მაგრამ ნაკლებად ზოგადია სპექტრის სხვა უბანში შთანთქმის მონაცემები. მაგალითად, შთანთქმის სუსტი ზოლი უბანში 3050 სმ-1 მოწმობს ციკლოპროპანის რგოლში მეთილენის ჯგუფების არსებობას.

ადრე ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის გამოყენება ტერპენების ქიმიაში შეზღუდული იყო პროტონული რეზონანსისგამოყენებით, რომელსაც ხმარობდნენ ზოგიერთი ნაერთების, მაგალითად, -სანტონინის სტრუქტურის დასადგენად. ახლა პროტონული რეზონანსი ფართოდ გამოიყენება ტერპენოდების სტრუქტურების კვლევისათვის.

მაღალეფექტური თხევადი ქრომატოგრაფია (მევქ) შეზღუდულად გამოიყენება ეთერზეთების ანალიზის დროს, რაც დაკავშირებულია ერთის მხრივ ქრომატოგრაფიული სვეტების დაბალი ეფექტურობით, და მეორე მხრივში,

რად გამოყენებული უი-სპექტროსკოპული დეტექტორების მაღალი სელექტიურობით. მევქ ზოგჯერ გამოიყენება ნომუშების წინასწარი ფრაქციონირებისათვის. მაგრამ ამ მეთოდის მნიშვნელოვანი უპირატესობაა მცირეაქტოლადი და თერმოლაბილური შენაერთების ანალიზის შესაძლებლობა.

აირ-სითხური ქრომატოგრაფია ძალიან ფართოდ გამოიყენება ტერპენული ნაერთების რთული ნარევების შესასწავლად. ეს შემდეგითაა განპირობებული: ტერპენოდებს აქვთ დუღილის ტემპერატურა 150-დან 3500? და საკმარისი პარციალური წნევა ამ მეთოდით ანალიზის ჩასატარებლად. აირ-სითხური ქრომატოგრაფია წარმოადგენს ყველაზე უფექტურ მეთოდს რთული ნარევების დასაცილებლად, იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს იდენტიფიკაციის სპექტრსკოპულ მეთოდებთან ერთად. ტერპენების ნარევების ანალიზისათვის ხმარობენ სხვადასხვა უძრავ თხევად ფაზებს დიდი დიაპაზონის პოლარულობით – არაპოლარულიდან (შ -30, V-101) პოლარულამდე (კარბოვაქსი 20 M). არაპოლარული უძრავი ფაზის საეტებზე ნაერთები ელუირდება მათი დუღილის ტემპერატურების შესაბამისად: ჯერ მონოტერპენები, შემდეგ დი- და ტრიტერპენები. უანგბადშემცველი ნაერთები ყოვნდება უფრო დიდხანს, ვიდრე შესაბამისი ნახშირწყალბადები. რადგანაც კაპილარული სვეტები უფრო ეფექტურად განაცალკევებენ ნარევებს, მათი მოხმარების ტენდენცია მუდმივად მატულობს. ამ მეთოდის მგრძნობელობა განისაზღვრება გამოყენებული დეტექტორის ტიპით. ქრომატოგრაფიის ჩასატარებლად მიკროშპრიცის დახმარებით ქრომატოგრაფის ამაორთქლებელში შეყვათ ეთერზეთის მცირე სინჯი (0,001 მკლ) და აორთქლებენ 2500? ტემპერატურაზე. ამ მიღწი მუდმივად გამდინარე აირ-მატარებლის (ჩვეულებ-

რივ ჰელიუმი, წყალბადი ან აზოტი) ზემოქმედების შედეგად ეთერზეთი ორთქლის სახით გადაადგილდება მიღწი. ერთდროულად სვეტის ტემპერატურა იზრდება 500?-დან 2200?-მდე 3-4 გად/წთ სიჩქარით. სვეტის შიგა ზედაპირი დაფარულია პოლიმერული ბუნების ნეიტრალური სითხის თხელი ფენით (0,25 მიკრონი). ეთერზეთების კომპონენტებს გააჩნიათ განსხვავებული ადსორბციული სწრაფვა თხევადი ფაზისადმი, რის გამოც ეთერზეთების შემადგენელი ნივთიერებები სვეტის გასწვრივ გადაადგილდებიან განსხვავებული სიჩქარით. ამის შედეგად სვეტიდან კომპონენტები გამოდიან ცალკეული ნივთიერებების სახით. ჩვეულებრივ ეთერზეთების ანალიზის სანგრძლივობა არის არა უმეტეს 30-40 წთ. თანამედროვე მეთოდიკებში ცალკეული ნივთიერება შეიძლება გამოთიდეს 3-7 წთის განმავლობაში. ამრიგად, ანალიზის განმავლობაში შესაძლებელია ასეულობით ნივთიერების აღმოჩენა. სვეტიდან გამოსული ნივთიერებების აღმოჩენის მთავარი მეთოდია იონიზაციურალის დეტექტირება. ამ მიზნით სვეტის გამომავალ ბოლოს უერთებენ დეტექტორს, რომელიც წარმოადგენს თხელ მიღს წყალბადის ალით. ალში მოხვედრილი ნივთიერება იონიზდება მაღალი ტემპერატურის მოქმედებით და აღმოჩენენ ამ იონების საშუალებით. იონების რაოდენობა ალში ნივთიერების პროპორციულია ალში ნივთიერების რაოდენობის. ქრომატოგრაფიული ანალიზის ჩატარების შედეგად მიიღება ქრომატოგრამა პიკების სახით. პიკების ზომა აჩვენებს სინჯში ნივთიერების რაოდენობას.

დღეისათვის ეთერზეთების კვლევის ძირითადი მეთოდებია აირ-სითხუ

რი ქრომატოგრაფიისა და მას-სპექტროსკოპიის ერთდროული გამოყენება, ეს მეთოდი არ მოითხოვს ინდივიდუალური ნივთიერებების წინასწარ გამოყოფას და სხვა სპექტროსკოპული მეთოდებით მათი მახასიათებლების განსაზღვრას.

კომპონენტების ქრომატო-მას-სპექტროებიული მეთოდით იდენტიფიკაციისას სვეტიდან გამომავალი ნივთიერება არ ხვდება წყალბადის ალში, გადადის სტანდარტული ენერგიის მქონე ელექტრონების ნაკადში. მას-სპექტრომეტრში მოხვედრისას ნიმუშის მოლეკულები განიცდიან ელექტრონულ ბომბარდირებას. ამ დროს მოლეკულა კარგავს ერთ ელექტრონს. თუ ელექტრონების ენერგია აღემატება იონიზაციის ენერგიას, წარმოქმნილ დადებით იონს ექნება ჭარბი ენერგია. ეს ენერგია იწვევს მოლეკულური იონის დაშლას. ელექტრონული დარტყმების მოქმედებით ტერპენოიდები განიცდიან ფრაგმენტაციას, რომელიც იწვევს ერთნაირი მასური რიცხვის მქონე იონების წარმოქნას დამახასიათებელი პიკებით. ელექტრონული იონიზაციის მას-სპექტრების შემცველი მონაცემების ბაზის გამოყენებით შესაძლებელია მაღალი სიზუსტით საანალიზო კომპონენტების იდენტიფიცირება.

მიღებული მას-სპექტრების ხარისხი დამოკიდებულია მასების ინტერვალის სკანირების სანგრძლივობაზე. ქრომატო-მას-ანალიზისათვის უპირატესობა ენიჭება სწრაფი სკანირების ხელსაწყოებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ნაერთების სანდო მას-სპექტრების მიღება.

ეაბ 547.913:543.2

ლ. ყიფიანი

აკაკი ჭერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეთერზეთვის გამოყოფისა და ანალიზის მეთოდები
რეზიუმე

სტატიაში მოყვანილი მონაცემები მოწმობებ, რომ ტერპენოიდების ანალიზის ძირითად მეთოდად დღეისთვისაც რჩება ქრომატო-მას-სპექტომეტრიის მეთოდი, კერძოდ აირ-სითხური ქრომატოგრაფია მას-სპექტომეტრული დამტკიცით. იონიზაციის ხერხის სახით ყველაზე ოპტიმალურია ელექტრონული დარტყმა, რომელიც წარმოქმნილი იონების ხასიათის მიხედვით საანალიზო კომპონენტების სტრუქტურის დახასიათების საშუალებას იძლევა. ამიტომ მოცემული მიდგომის გამოყენება აქტუალურია მხოლოდ ნაკლებად შესწავლილი ობიექტების ნალიზისათვის.

УДК 547.913:543.2

Л. КИПИАНИ

Государственный Университет Акакия Церетели

МЕТОДЫ ВЫДЕЛЕНИЯ И АНАЛИЗА ЭФИРНЫХ МАСЕЛ

Резюме

Представленные в статье данные позволяют утверждать, что до сих пор основным методом анализа терпеноидов остаётся использование гибридного метода – хромато-масс-спектрометрии, а именно газожидкостной хроматографии с масс-спектрометрической детекцией. В качестве способа ионизации наиболее оптимальен электронный удар, позволяющий по характеру образовавшихся осколочных ионов надежно охарактеризовать структуру анализируемых компонентов. Поэтому актуальность использования данного подхода может заключаться только в анализе малоисследованных объектов.

UDC 547.913:543.2

L. KIPIANI

Akaki Tsereteli State University

METHODS OF ISOLATION AND ANALYSIS OF ESSENTIAL OILS

Summary

The review proved that the primary method of analysis of essential oils is the use of gas-liquid chromatography with mass spectrometric detection. As a method of ionization the electron impact is viewed as optimal, which allows to characterize the structure of the analyzed components reliably regarding the nature of fragmented ions formed.

ЛІТЕРАТУРА - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Зюков, Д.Г. Технология и оборудование эфирномасличного производства / Д.Г. Зюков, Е.Н. Андреевич, А.П. Чипига. – М. : Пищ. пром-сть, 1979. – 190 с.
2. Сур, С.В. Методы выделения, идентификации и определения терпеновых соединений / С.В. Сур // Раст. ресурсы. – 1990. – Т. 26, вып. 1. – С. 42-50.
3. Технология натуральных эфирных масел и синтетических душистых веществ / И.И. Сидоров [и др.]. – М. : Легкая и пищ. пром-сть, 1984. – 368 с.
4. Государственная фармакопея: Вып. 11. Общие методы анализа– 11-е изд., 2007.
5. Горяев, М.И. Методы исследования эфирных масел / М.И. Горяев, И. Плива. – Алма-Ата : Изд-во АН Каз. ССР, 1962. – 739 с.
6. Растительные лекарственные средства / под ред. Н.П. Максютиной. – Киев : Здоров'я, 1985. – 102 с.
7. Хроматография в тонких слоях / под ред. Э. Штала. – М. : Химия, 1965 – 508 с.
8. Зенкевич, И.Г. Аналитические параметры компонентов эфирных масел для их хроматографической и хромато-масс-спектрометрической идентификации. Моно- и есквитерапеновые углеводороды / И.Г. Зенкевич // Раст. ресурсы. – 1996. – Т. 32, вып. 1-2. – С. 45-58.

შაბ 547.458.81

ლეგან ყიზიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მიპროგრისტალური ცენტრისა: სტრუქტურა, თვისებები და გამოყენება

მიკროკრისტალური ცენტრის მიმღებების სტრუქტურის ქიმიური და მარტივულის პროცესების, გამოირჩევა სისუფთავის მაღალი ხარისხით და მაკრომოლეკულების კრისტალოგრაფიულ ორიენტაციაში ცენტრის მოწესრიგებული ნაწილის მაღალი შემცველობით. კვლევები მიკროკრისტალური ცენტრის მიღებისა და მისი თვისებების შესწავლის მიმართულებით წინა საუკუნის 50-იანი წლებით მიმდინარეობს. მიკროკრისტალური ცენტრის სტრუქტურის და თვისებების თავისებურებების გამოვლენამ შექმნა პერსპექტივები მისი გამოყენებისათვის და სამრეწველო წარმოების ორგანიზაციისათვის. ამ მომენტიდან მიკროკრისტალურმა ცენტრისამ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინა და გამოიყენება სხვადასხვა დარგში. მის მიმართ ინტერესი დღესაც არ შენელებულა, ბოლო წლებმა გამოვლინა ახალი შესაძლებლობები ამ ბუნებრივი პოლიმერის შესწავლისა და მისი გამოყენების პერსპექტიულობის მიმართულებით.

ამ მიკროკრისტალურ ცენტრისას აქვს განსხვავებული სტრუქტურა და თვისებები, ვიდრე ტრადიციულ ბოჭკოვან და ფხვნილოვან ცენტრისას [1]. ყველა ცნობილ ცენტრის მასალებთან შედარებით მიკროკრისტალურ ცენტრისას აქვს მაქსიმალური კრისტალურობის ხარისხი და სიმკვრივე, ამასთან ერთად გააჩნია მაღალი ხედვითი ზედაპირი და მდგრადი ტიქსომოპული პიდროგელების წარმოქმნის უნიკალური უნარი [2,3].

ამ მიკროკრისტალურ ცენტრის აქვს ფხვნილისებური მორფოლოგია და შედგება ნაწილაკებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ეგრეთწოდებულ პოლიმერიზაციის „ზღრულ“ ხარისხამდე დესტრუქციონებულ ცენტრის მიკროკრისტალიზაციის [4]. საწყისი ცენტრის მასალისა და მიღების პირობებზე დამოკიდებულებით სხვადასხვა სახის ცენტრის მიკროკრისტალების ნაწილაკების საშუალო ზომები იცვლება 1-დან 400 მკმდევ [5]. დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ბოჭკოვანის ზედაპირის ფიბრილარული სტრუქტურის მნიშვნელოვანი დარღვევა, რაც დაკავშირებულია საწყისი ცენტრის ბოჭკოვანი ფიბრილების შემაკავშირებელი ცალკეული ელემენტების რდვევასთან [6].

მიკროკრისტალური ცენტრის კრისტალურობის ხარისხი განისაზღვრება საწყისი ცენტრის სტრუქტურული თავისებურებებით - მიკროკრისტალიზაციის დეფექტურობის და დესტრუქციისადმი მდგრადობით. რენტგენოდიფრაქტომეტრის მონაცემებით განსაზღვრული კრისტალურობის ინდექსი შეადგენს ბამბის ბოჭკოსაგან მიღებული მიკროკრისტალური ცენტრისათვის 0,80 და მერქნის ცენტრისა და ერთწლიანი მცენარეებისაგან მიღებულისათვის 0,63-0,70 [3,7].

საწყისი ცენტრის მიხედვით (ბუნებრივი, მერქნის ფიბრული ან რეგულარული) მიკროკრისტალურ ცენტრისას აქვს ცენტრის მოლიმორფული მოდიფიკაციის I ან II

სტრუქტურა. ცელულოზა I და II მიკროკრისტალური ფორმები ხასიათდებიან განსხვავებული მორფოლოგიით. ცელულოზა I-ის მიკროკრისტალებისათვის დამახასიათებელია ნემსისებური ფორმა, ცელულოზა II-ის მიკროკრისტალები გამოირჩევიან გრანულისებური ფორმით და უფრო მცირე ზომებით [8,9].

ულექტრონული მიკროსკოპიისა და რენტგენფაზური ანალიზით დადგენილია სხვადასხვა წარმოშობის წელულოზა I-ის მიკროკრისტალური ფორმების მორფოლოგიური განსხვავება. ბამბის მიკროკრისტალური ცელულოზის მიკროკრისტალიტები უფრო გრძელი და სქელია, ვიდრე მერქნის ცელულოზის. ფოთლოვანი მერქნის სხვადასხვა ჯიშის ცელულოზა I-ის მიკროკრისტალური ფორმები ხასიათდება მიკროკრისტალების დაახლოებით ერთნაირი ზომებით. ფოთლოვალი ცელულოზის მიკროკრისტალიტები უფრო მსხვილია, ვიდრე ერთწლიანი მცენარეების ცელულოზის.

სხვადასხვა სახის მიკროკრისტალური ცელულოზის პოლიმერზაციის საშუალო ხარისხი, რომელსაც ასევე პოლიმერზაციის „ზღვრულ“ ხარისხს უწოდებენ, მდგრადი ზღვრულში 60-დან 350-მდე. პოლიმერზაციის „ზღვრული“ ხარისხი ცელულოზის პოლიმერზაციის ფარდობითი მუდმივი ხარისხია, რომელიც მიიღწევა რბილ პირობებში ძალიან ხანგრძლივი დესტრუქციის პროცესში ან მკაცრ პირობებში დესტრუქციის ძალიან მცირე პერიოდში. პოლიმერზაციის „ზღვრული“ ხარისხის სიდიდე დამოკიდებულია პირველ რიგში საწყისი ცელულოზის მიკროკრისტალიტების ზომებზე და ნაკლებად - მიკროკრისტალური ცელულოზის მიღების პირობებზე. ბამბის მიკროკრისტალური ცელულოზისათვის პოლიმერზაციის „ზღვრული“ ხარისხის მნიშვნელობა შეადგენს 200-300,

მერქნის - 120-280, ვისკოზური ბოჭკოების ცელულოზისათვის - 30-50.

მიკროკრისტალური ცელულოზის თვისებების ერთ-ერთი მახასიათებელია მაღალი ძვრის დაძაბულობის ზემოქმედებით წყალში დისპერგირების უნარი მდგრადი გელისებური დიაპერსიების წარმოქმნით, რომელიც შეიცავს ნაწილაკებს 0,4მმ სიგრძით და 0,04მმ სისქით. ეს ზომები ვარირებს ალფა-ცელულოზის წყაროს და უმთავრესად დისპერგირების ხერხის მიხედვით. მიკროკრისტალური ცელულოზის დისპერგირების ყველაზე ეფექტური ხერხია ულტრაბაბერითი დასხივება. არადისპერგირებული მიკროკრისტალური ცელულოზისათვის დამახასიათებელია ზომების მიხედვით ნაწილაკების ფართო განაწილება

წყალში დისპერგირების უნარის გამო მიკროკრისტალური ცელულოზას აქვს მაღალგანვითარებული ჰიდროფილური ზედაპირი, რომელიც შეიცავს აქტიური ჰიდროქსილური ჯგუფების ძალიან დიდ რაოდენობას. მიკროკრისტალური ცელულოზის ხელდრითი ზედაპირი მშრალ მდგომარეობაში 3,5-4,5 მ²/გ-ს ტოლია და მისი კონტაქტისას წყალთან რამდენიმე ათეულჯერ იზრდება. მიკროკრისტალური ცელულოზის გელების გელებს გააჩნიათ წყლის შეკავების მაღალი უნარი. ამასთანავე წყალშეკავების ცვლილების ხასიათი და წყალჭმეკავების ზღვრული მნიშვნელობა (250-დან 300-320%-მდე) ახლოსად სხვადასხვა სახის მიკროკრისტალური ცელულოზისათვის და მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული მათ წარმობაზე [3, 6]. მიკროკრისტალური ცელულოზის ხელდრითი ზედაპირისა და წყალშეკავების უნარის მნიშვნელობები დამოკიდებულია დისპერგირების ხერხზე და ამ მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდზე.

მიკროკრისტალური ცელულოზის გელებში წყლის მდგომარეობის შესწავლისას პროტონული მაგნიტური

(C_{16;0}) და უჯერი ოლეინის (C_{18;1}), ლინოლის (C_{18;2}) და ლინოლენის (C_{18;3}), ცხიმოვანი მჟავები. ნაჯერი მჟავები როგორიცაა ლაურინის (C_{12;0}) მირისტინის (C_{14;0}), სტეარინის (C_{18;0}) და არახინის (C_{20;0}), ჩაის ლიპიდებში მცირე რაოდენობითაა და ისინი მინორული მჟავებს შეიძლება მივაკუთვნოთ. საანალიზო ნიმუშებში აღმოჩნდა სპეციფიკური გადოლენის მჟავა (C_{20;1}). ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები გამოკვლეულ ნიმუშებში წარმოდგენილია, მირითადად, პალმიტინის მჟავით (C_{16;0}) შედარებით ნაკლებია ლაურინისა და სტეარინის მჟავები, კიდევ უფრო ნაკლები მირიტინის მჟავა. უჯერი (არაზღვრული) ცხიმოვანი მჟავებიდან

გამოსაგვლევ ნიმუშებში უპირატესად გვხვდება ლინოლენის მჟავა (C_{18;3}), შედარებით ნაკლებია ლინოლინი (C_{18;2}) და ოლეინის (C_{18;1}) მჟავები. კიდევ უფრო ნაკლებია პალმიტოლენის მჟავა (C_{16;1}). თუმცა შავი ჩაის ნახევარფაბრიკატში საქმაო რაოდენობითაა ისეთი უჯერი მჟავები, როგორიცაა C_{12;1} (3,63%), C_{15;1} (1,28%), C_{17;1} (1,12%), რასაც ვერ ვიტყვით სხვა ჯგუფის ჩაის ნიმუშებზე. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ შავ ჩაიში ცხიმოვანი მჟავების ფართო სპექტრის არსებობა გამოწვეულია გადამუშავების პროცესში მიმდინარე ღრმა ბიოქიმიური გარდაქმნებით, რასაც ადგილი აქვს მწვანე ჩაის შემთხვევაში.

ცხრილი 3

ჩაის ლიპიდების ძირითადი ცხიმოვანი მჟავების შედგენილობა ჩაის ჯგუფების მიხედვით, ფარდობითი %

ცხიმოვანი მჟავების დასახელება	ჩ ა ი ს ჯ გ ვ ე ბ ი ს			
	I	II	III	IV
C _{12;0} (ლაურინის)	0,24	0,47	0,50	1,90
C _{13;0}	0,66	2,21	2,85	5,94
C _{14;0} (მირისტინის)	0,94	0,92	0,90	0,84
C _{15;0}	0,16	0,25	0,35	0,91
C _{16;01} (იზოპალმიტინის)	1,71	1,47	1,51	0,06
C _{16;0} (პალმიტინის)	23,90	24,95	24,20	25,37
C _{16;1} (პალმიტოლენის)	1,62	1,55	1,35	0,76
C _{18;0} (სტეარინის)	2,05	2,95	3,17	4,95
C _{18;1} (ოლეინის)	6,63	7,65	7,48	8,73
C _{18;2} (ლინოლინის)	15,48	15,40	15,06	14,68
C _{18;3} (ლინოლენის)	44,57	41,20	39,18	23,25
C _{20;0} (არახინონის)	0,11	0,21	0,44	0,57
C _{20;1} (გადოლენის)	0,56	0,22	0,15	0,05

აღსანიშნავია, რომ უჯერი და ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების რაოდენობების თანაფარდობა ჩაის ნიმუშების ჯგუფების მიხედვით იცვლება.

ჩაის ლიპიდური ფრაქციის გამოკვლევამ მწვავე ტოქსიკურობაზე აჩვენა, რომ ის განეკუთვნება პრაქტიკულად არატოქსიკურ ნივთიერებებს. ჩაის ლიპიდურ

ფრაქციას არ აქვს ადგილობრივ-
გამაღიზიანებელი, ალერგიის
გამომწვევი უნარი, აგრეთვე
თერატოგნული და ემბრიოტოქსიკური
აქტიურობა.

ბუნების ნაერთების, ალკალოიდებსა
და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ
ნივთიერებებს. მათი არსებობით
განსაზღვრავენ მის ფარმაკოლოგიურ
და თერაპევტურ მოქმედებას.

ჩაის ლიპიდური ფრაქციის
ქიმიური შემადგენლობა ყველა
საფუძველს იძლევა ლიპიდური
ფრაქციის საკვებ პროდუქტებზე
ბიოლოგიურად აქტიური ვიტამინების
დანამატის სახით გამოყენებას, რიგი
დაავადებების მკურნალობისა და
პროფილაქტიკისათვის, როგორიცაა
კანის, კუჭისა და თორმეტგოჯა
ნაწლავის წყლულოვანი მექანიკური
ჭრილობების, და სხვა დაავადებების,
სამკურნალოდ.

၁၂၃ ၆၆၃.၉၅:၆၂၁.၀၃၉.၃၂၇

၆. ဒုဇင်ဘာလ၊ ၂၀၁၈ ခုနှစ်

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ჩაის ლიკიდური ზრაპციის მიმღები შემაღებელობა და საპრეს
პროდუქტებზე გიოლობიურად აძლიშვილ ვიტამინების დაცამატების
გამოყენების პრესკრიპტივები

რეზიუმე

ჩაის ცენტრული ფრაქცია შეიცავს მნიშვნელოვნად მეტ, ორგანიზმისთვის აუცილებელ ფიზიოლოგიურად აქტიურ კომპონენტებს, ვიდრე ჩაის „კლასიკური“ ექსტრაქტები. ჩაის ლიპიდური ფრაქციის გამოკვლევამ მწვავე ტოქსიკურობაზე აჩვენა, რომ ის განეგუთვნება პრაქტიკულად არატოქსიკურ ნივთიერებებს. ჩაის ლიპიდურ ფრაქციას არ აქვს ადგილობრივ-გამაღიზიანებელი, ალერგიის გამომწვევი უნარი, აგრეთვე ოერატოგენული და ემბრიოტოქსიკური აქტიურობა. ჩაის ლიპიდური ფრაქციის ქიმიური შემადგენლობა ყველა საფუძველს იძლევა ლიპიდური ფრაქციის საკვებ პროდუქტებზე ბიოლოგიურად აქტიური ვიტამინების დანამატის სახით გამოყენებას,

УДК 663.95:621.039.327

Н. ЦУЦКИРИДЗЕ, К. СИРБИЛАДЗЕ

Государственный университет Акакия Церетели

ХИМИЧЕСКИЙ СОСТАВ ЛИПИДНОЙ ФРАКЦИИ ГРУЗИНСКОГО ЧАЯ И ПЕРСПЕКТИВЫ ПРИМЕНЕНИЯ БИОЛОГИЧЕСКИ АКТИВНЫХ ВИТАМИННЫХ ПИШЕВЫХ ДОБАВОК

Резюме

Жирорастворимая липидная фракция грузинского чая содержит для организма значительно больше обязательных физиологически активных компонентов, чем

«классические» экстракты чая. В статье показана, их динамика изменения и перспективы применения биологически активных витаминных добавок на пищевой продукт. Исследование липидной фракции чая на острую токсичность показало, что она относится к практически нетоксическим веществам. У липидной фракции чая нет местной раздражающей, аллергенной, тератогенной и эмбриотоксической активности. Химический состав липидной фракции чая дает основание использования липидной фракции чая в качестве биологически активной витаминной добавки для лечения и профилактики заболеваний кожи, язвы желудка и двенадцатиперстной кишки и для лечения других заболеваний.

UDC 663.95:621.039.327

N. TSUTSKIRIDZE, K. SIRBILADZE

Akaki Tsereteli State University

**CHEMICAL COMPOSITION OF LIPIDIC FRACTION OF THE GEORGIAN TEA
AND PROSPECT OF APPLICATION OF BIOLOGICALLY ACTIVE
VITAMIN FOOD SUPPLEMENTS**

Summary

The liposoluble lipidic fraction of the Georgian tea contains for an organism much more obligatory physiologically active components. In article it is shown, their dynamics of change and prospect of application of biologically active vitamin supplements on foodstuff. Research of lipidic fraction of tea on acute toxicity showed that it treats almost not toxic substances. The lipidic fraction of tea has no local irritating, allergenic, teratogenic and embriotoxic activity. The chemical composition of lipidic fraction of tea gives the grounds of use of lipidic fraction of tea as biologically active vitamin supplement for treatment and prevention of diseases of skin, stomach ulcer and a duodenum and for treatment of other diseases.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. ცუცქირიძე ნ., გოგისვანიძე კ., უფიანი ლ. ჩაის ცხიმებისადი კონცენტრატების ტექნოლოგიური რეგლამენტი. // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები. ობილისი – XVII, 2006
2. ხვеделиძე В.Г. Гецидзе А.Д. Новые аспекты Биохимии чая / Тр. КГТУ №2, 2004
3. ხვედელიძე ვ. ღვინიანიძე თ. ბუცხრიკიძე ბ. ჩაის ლიპიდების ექსტრაქციის ოპტიმიზაცია/საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები გამ. XI, 2004

საპ 627.8.03

6. ხაზარაძე, ლ. ბოგეჯიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუნებრივი ცეოლითებით ჩამდინარე ფყლების გაჭმელა იონზოდითი
სორბიის გათოდით

გარემოს დაბინძურებისაგან დაცვა
და ადამიანის ფიზიკური არსებობისა
და განვითარებისათვის სასურველი
პირობების უზრუნველყოფა
სადღეისოდ კაცობრიობისათვის
უდიდეს პრობლემას წარმოადგენს.

ამ მხრივ განსაკუთრებით
მნიშვნელოვანია წყლებისა და
ნიადაგების დაცვა ისეთი
მაღალტოქსიკური ნივთიერებებისაგან,
როგორიცაა ტყვია და კა-დმიუმი. ისინი
საყოფაცხოვრებო და სამრეწველო
ჩამდინარე წყლებით სოფლის
მეურნეობის საგარეულების
მორწყვისას, შეიძლება მოხვდნენ,
მცენარის მწვანე მასასა და ნაყოფში
და ამ გზით გადაინაცვლონ და
დაგროვდნენ ადა-მიანის ორგანიზმში.

ჩამდინარე წყლების მავნე,
ტოქსიკური ლითონების იონებისაგან
გასა-წმენდად, ეფექტურია
იონმიმოცვლითი სორბციის მეთოდის
გამოყენება, რა-დგან მხოლოდ
ადსორბენტ-იონმიმომცვლელებს
შეუძლიათ მათი ლოკალური
კონცენტრაციების შემცირება ან
სრულად დაჭერა. აქედან გამომდინარე
დი-დია ინტერესი უნიკალური
ადსორბციისა და იონმიმოცვლის
უნარის მქონე კრისტალური
ალუმინისილიკატების-ცეოლითებისადმი.
ადნიშნული მასალების, როგორც
ფილტრების გამოყენება მეტად
აქტუალურია, ვინაიდან ისინი წარმო-
ადგენენ იაფ, ხელმისაწვდომ მასალებს
და ხასიათდებიან მაღალი იონმიმო-

ცვლითი ტევადობით. ამდენად მათი
გამოყენება გამართლებულია, როგორც
ეკონომიკური ისე ექოლოგიური
თვალსაზრისით.

ბუნებრივი ცეოლითების-
განსაკუთრებით დაბალსილიციუმ
შემცველი
ფილიასიტების მაღალი სელექტიურობა
ტუბა, ტუბებიწათა და მძიმე ლითო-
ნების კატიონების მიმართ საშუალებას
იძლევა მნიშვნელოვნად შეგამციროთ
ტოქსიკური ლითონების შემცველობა
საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩა-
მდინარე წყლებში [1].

ჩვენი კვლევის მიზანს
წარმოადგენდა ტყვიისა და კადმიუმის
იონების გამოდევნის შესალებლობის
დადგენა, ამავე კატიონების შემცველი
წყალსსნა-რებიდან.

ამ პროცესის შესასწავლად შეირჩა
სისტემა სორბენტი-სსნარი, შემუშა-ვდა
ექსპერიმენტის მეთოდიკა.

საკვლევ ობიექტებად გამოვიყენეთ
საქართველოს ბუნებრივი ფილიასი-
ტები, რომელთა კრისტალური
სტრუქტურის თავისებური აგებულება
განაპირობებს შიგაკრისტალური არის
ლია ბუნებას კატიონების
თანდაობით ჩანაცვლებისათვის.
ცეოლითური მინერალის ეს სახეობა
გამოვლენილია და დიდ სამრეწველო
საბაზოს ქმნის საქართველოს
ტერიტორიაზე ახალციხესა და გურიის
რეგიონებში. ექსპერიმენტში ბუნებრივი
ფილიასიტები რა. (ფილი-პსიტი
ახალციხეი) და რა. (ფილიპსიტი

შეუტიდან) გამოყენებულია დანაწევრებული 1-1,5მმ ფრაქციის სახით. რენტგენულ-დიფრაქციული ანალიზის თანახმად ქანებში ძირითადი მინერალის შემცველობა შესაბამისად 70-80%-ია - მინარევებით თიხა, მინდვრის შპატი, მიკროფაუნა. კლასიკური და ალური ფოტომეტრიის მეთოდებით ჩატარებული ქიმიური ანალიზის შედეგად ფილი-პსიტების ქიმიური შედგენილობა გადათვლილი

ელემენტარული უჯრედის 16 ატომ ჟანგბადზე მოტანილია ცხრილში 1. იონმიმოცვლის პროცესი შეისწავლებოდა სტატიკურ პირობებში კადმიუმის ქლორიდისა და ტყვიის ნიტრატის 16 წყალსნარების ფილიპსიტებთან ურთიერთქმედებისას, მუდმივი მორევის პირობებში, თანაფარდობით მყარი ფაზა:სნარი=1:10.

ცხრილი 1

ბუნებრივი ფილიპსიტების ქიმიური შედგენილობა

ცემლითი	ელემენტარული უჯრედი	Si/Al
P _{აბ.}	(Na _{0.68} K _{0.35} Ca _{0.70} Mg _{0.32})(Al _{2.10} Si _{5.05} O ₁₆)5.65H ₂ O	2.41
P _{ჭბ.}	(Na _{0.22} K _{0.25} Ca _{0.21} Mg _{0.16})(Al _{2.19} Si _{5.72} O ₁₆)4.72H ₂ O	2.61

საკვლევი ლითონების დარილსნარებთან ფილიპსიტის 6-ჯერადი ურთიერთქმედებისას აღინიშნება ტყვიისა და კადმიუმის კატიონების ჩანაცვლების ხარისხების თანდათანობითი ზრდა ანუ ფილიპსიტის სტრუქტურაში აღნიშნული კატიონების კონცენტრირება, რაც კალიუმით მდიდარ ფილიპსიტში

უპირატესად მიმდინარეობს ნატრიუმიანთან შედარებით კადმიუმისა და ტყვიის კატიონების დაგროვება ბუნებრივ ფილიპსიტებში პირველადი კატიონების გამოძევების გზით წარმოდგენილია ცხრილში 2, განსაზღვრული მყარი ფაზის ქიმიური ანალიზის საშუალებით.

ცხრილი 2

ბუნებრივი ფილიპსიტების სტრუქტურაში ტყვიისა და კადმიუმის იონების ჩანაცვლების ხარისხები

ცემლითი	ჩანაცვლების ხარისხი, %					
	Na, K, Ca, Mg ↔ Pb					
	I	II	III	IV	V	VI
P _{ჭბ.}	52	61	67	75	83	90
P _{აბ.}	45	52	60	66	72	80
	Na, K, Ca, Mg ↔ Cd					
P _{ჭბ.}	42	50	56	62	66	70
P _{აბ.}	37	45	52	55	60	65

აღმოჩნდა, რომ ფილიპსიტების შიგაკრისტალურ

ტყვიისა და კადმიუმის კატიონების ჩანაცვლების ხარისხები

კანონზომიერად
იონმიმოცვლის რიცხვის ზრდასთან
ერთად. მაღალი სორბციის
მაჩვენებელი საკვლევი გატიონების
მიმართ გამოვლინა ფილიპსიტმა
შუხუთიდან (ცხრ.2).

ცნობილია, რომ ცეოლითების
იონმიმოცვლითი თვისებები დიდადად
და-მოკიდებული კატიონების
განაწილებაზე შიგაკრისტალურ
პოზიციებზე. კატიონების განაწილება
ფილიპსიტის სტრუქტურაში
სხვადასხვა პოზიციებზე ხდება
კატიონების ზომების მიხედვით
(იონური რადიუსი). თანამედროვე აღწე-
რილობის მიხედვით [2, 3] ფილიპსიტში
მსხვილი კატიონები განთავსებული
არიან Iპოზიციაზე, სადაც
შესაძლებელია ტყვიის კატიონის
მაქსიმალური ჩა-ნაცვლება, რაც ჩვენს
შემთხვევაში მოხდა კალიუმით მდიდარ
ფილიპსიტში (ცხრ. 1, 2).

I პოზიცია ნაკლებ მისაწვდომი
აღმოჩნდა კადმიუმის კატიონებისათვის.
ამ შემთხვევაში მიმოცვლა წარიმართა
შედარებით წვრილი კატიონებით დასა-
ხლებულ II და II' პოზიციებზე.

ფილიფსიტების სორბციული
ტევადობის აღდგენას კადმიუმისა და
ტყვიის კატიონებთან მიმართებაში
განხორციელებადია შესაბამისად
ნატრიუმის ან კალიუმის ქლორიდების
ან ნიტრატების ხსნარით დამუშავებით.

ჩატარებული კვლევის
საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ,
რომ ბუნებრივი ფილიპსიტები
ხასიათდებიან საკმაოდ დიდი
კატიონმიმოცვლის ტევადობით
კადმიუმის და განსაკუთრებით ტყვიის
კატიონების მიმართ, რაც საშუალებას
იძლევა ამ ცეოლითების
გამოსაყენებლად ჩამდინარე წყლების
გასაწმენდად მძიმე ლითონების
კატიონებისაგან.

უპ 627.8.03

6. ხაზარაძე, ლ. გოგეჯიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გურეარიგი ცეოლითებით ჩამდინარე ფყლების გაფარედა იონმიმოცვლითი
სორბციის გეთოდით

რეზიუმე

შესწავლილია ჩამდინარე წყლების მოდელური სსნარებიდან, ბუნებრივი
ფილიპსიტებით ტყვიისა და კადმიუმის კატიონების კონცენტრირების პროცესი.
ნაჩვენებია, საკვლევი ლითონების მარილსსნარებთან ფილიპსიტის
მრავალჯერადი ურთიერთქმედებისას, ცეოლითის მყარ ფაზაში პირველადი
კატიონების ტყვიისა და კადმიუმის კატიონებით ჩანაცვლების სარისხების
თანდათანობითი ზრდა. გამოვლენილია კალიუმით მდიდარი ფილიპსიტის ძლიერი
სწრაფვა აღნიშნული კატიონების მიმართ ნატრიუმიანთან შედარებით.

УДК627.8.03

Н. ХАЗАРАДЗЕ, Л. ГОБЕДЖИШВИЛИ

Государственный Университет Акакия Церетели

**ОЧИСТКА СТОЧНЫХ ВОД ПРИРОДНЫМИ ЦЕОЛИТАМИ МЕТОДОМ
ИОНООБМЕННОЙ СОРБЦИИ**

Резюме

Изучен процесс концентрирования катионов кадмия и свинца из модельных растворов сточных вод с использованием природных филлипситов. Многократное взаимодействие филлипсита с водным раствором солей этих металлов, постепенно увеличивает ионообменную уровень первичных катионов в твердой фазе цеолита к катионам свинца и кадмия. Выявлены аспирационные свойства филлипсита обогащенного калием, к катионам тяжелых металлов, по сравнению с натриевым филлипситом.

UDC627.8.03

N. KHAZARADZE, L. GOBEDJISH VILI

Akaki Tsereteli State University

**ION-EXCHANGE SORPTION OF DRAINAGE WATERS ON GEORGIAN
NATURAL ZEOLITES**

Summary

Concentration process of cadmium and Lead cations by using of natural philipsite of sewage water model solutions has been studied. Frequent treatment of phyllipsite with water solution of salts of these metals gradually increases ion exchange level of primary cations by lead and cadmium ions in solid state. That potassium rich phylipsits have greater lead and cadmium ion exchange affinity than sodium rich, have been established.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. Н.Ф.Челищев, Б.Г.Береншtein, Т.В.Батиашвили, Г.А.Микадзе. Сб.-Геология физико-химические свойства и применение природных цеолитов. Мецниереба, 1985, с.227.
2. Natural Zeolites for the Third Millenium. Editor Carmine Collelaand Frederik A. Mumpston. De Frede Editore Napoli, 2000, 481 p.
3. H.Van Bekkum, E.M.Flanigen, P.A.Jacobs and J.C.Jansen (editors). Elsevier 2001, Amsterdam-London, New York-Oxford-Paris-Tokio, 1062p.

შაბ 615.9(051)

ე. ბამზრელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოწამვლები სამგრინალო საშუალებებით

ეფუძნებოდებოდა მსოფლიოში მილიონობით და ასეული მილიონობით ტონა სხვადასხვა ნივთიერებებით, მათ შორის სამკურნალო საშუალებები იწარმოება. ეს ნივთიერებები არც თუ ისე იშვიათად ტოქსიკური ბუნებისაა. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას ისინი საფრთხეეს უქმნიან მის ჯანმრთელობას.

მოწამვლები სამკურნალო საშუალებებით შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო მათი გადაჭარბებული გამოყენებით, ან მათი მიღებით სუიციდის მიზნით, არამედ თერაპევტული დოზის შემთხვევაშიც კი.

სამკურნალო ნივთიერებების ტოქსიკოლოგიური მოქმედება, ისევე როგორც სხვა ქსენობიოტიკებისა, განიხილება როგორც ქიმიური პათოლოგია, რომელიც დაკავშირებულია პომეოსტატიკური სისტემების ფუნქციის დარღვევებთან, ბიოქიმიური სისტემების (რეცეპტორები, ფერმენტები, ბიოლოგიური მებრანები) ფუნქციონირების მოღეაულურ მექანიზმზე მოქმედებისას სამკურნალო საშუალებები არღვევენ პომეოსტაზის პროცესებს.

ქიმიოთერაპიული საშუალებების წარმოების განვითარებამ გამოიწვია მათი არადასაბუთებული გამოყენება. განსაკუთრებით სახიფათო აღმოჩნდა სამკურნალო ნივთიერებების კომბინაციის გამოყენება. მაგ: აშშ-ში თანმდები რეაქციები, რომლებიც დაკავშირებულია სამკურნალო საშუალებების გამოყენებასთან, იწვევს წელიწადში 9

მილიონი ადამიანის პოსპიტალიზაციას, აქედან 1 მილიონი ადამიანი კვდება.

ვიდრე, ადამიანის მიერ სამკურნალო პრეპარატის გამოყენება მოხდება, აუცილებელია მისი უსაფრთხოების შემოწმება საექსპერიმენტო ცხოველებზე.

ჰელსინგის დეკლარაციის თანახმად აუცილებელია სამკურნალო პრეპარატების ადამიანებზე გამოყენების წინ, ცხოველებზე ტოქსიკოლოგიური გამოკვლევების ჩატარება.

სამკურნალო ტოქსიკოლოგიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ახალი სამკურნალო საშუალებების უსაფრთხოების შეფასება, განსაზღვრა იმ პათოლოგიური ცვლილებების, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს ამათუ იმ სამკურნალო პრეპარატით, ან სამკურნალო და დამხმარე ნივთიერებების კომპოზიციებით.

ძირითადი საექსპერიმენტო მოდელები მომავალი სამკურნალო პრეპარატების ტოქსიკურობის შეფასებისას არიან თეთრი თაგვები, ვირთხები, ზღვის გოჭები, კურდღლები, ძაღლები, მაიმუნები, ცხოველებზე ტოქსიკოლოგიური კვლევებისას ადამიანებში თანმდებგი ეფექტების პროგნოზი არ უნდა აღემატებოდეს 70%, რაც აისახება მონაცემთა ექსტრაპოლაციის სირთულით, რომელიც მიღებულია ექსპერიმენტის საფუძველზე. ახალი სამკურნალო პრეპარატის ტოქსიკურობის შესწავლას აწარმოებენ ცხოველთა სხვადასხვა სახეობებზე. ლაბორატორიული ცხოველების მგრძნობელობა ქსენობიოტიკ-

ბის მოქმედებისადმი, როგორც წესი მცირდება რიგში: ძაღლები > კატები > კურდღლები > ზღვის გოჭები > თაგვები > კირთხები > მაიმუნები.

ახალი სამკურნალო პრეპარატების ტოქსიკურობის შესწავლისას აუცილებელია გამოვლენილი იქნას სამიზნე - ორგანოები/ქსოვილები, შესაძლო არასასურველი რეაქციები, მათი შექვევადობა.

ზემოქმედების სამიზნეები (უფრო მეტად მგრძნობიარე ორგანოები ან ორგანოთა სისტემები) შეიძლება გამოვლენილი იქნას სამკურნალო საშუალების ერთჯერადი (მწვავე ტოქსიკურობა) ან მრავალჯერადი (ქრონიკული ტოქსიკურობა) შეყვანის შედეგად. ქსენობიოტიკის სპეციფიური ეფექტები ვლინდება მწვავე მოწამვლის ადრეულ საფეხურზე.

ქსენობიოტიკის მწვავე ტოქსიკურობის შეფასებისას ხშირად განსაზღვრავენ DL50. ამ დროს იყენებენ მცირე ზომის ლაბორატორიულ ცხოველებს; მაგ: თეთრ თაგვებს - ასაკით 60-75 დღის, წონა 18-20გ, ვირთხებს 75-120 დღის ასაკის, მასით - 150-240გ, ასევე ზღვის გოჭებს - 90-120 დღის, წონით 450-500გ. საშუალო სასიკვდილო დოზა წარმოადგენს ნივთიერების მნიშვნელოვან მახასიათებელს, რომელიც დამოკიდებულია საცდელი ცხოველის სახეობაზე, სქესზე, ასაკზე, მასაზე, მისი მოვლის პირობებზე, ორგანიზმში შეყვანილი პრეპარატის მოცულობაზე, მწვავე ტოქსინების შეფასებაზე გავლენას ახდენს ცხოველზე დაკვირვების ხანგრძლივობა სამკურნალო პრეპარატის ერთჯერადი შეყვანის შემდეგ. ჩვეულებრივ დადგენილია დაკვირვების თრიკვირიანი ხანგრძლივობა, თუმცა ქსენობიოტიკის მოქმედებით ცხოველების დაღუპვა შეიძლება მოხდეს უფრო მოგვიანებითაც.

სამკურნალო პრეპარატების ქრონიკულ ტოქსიკურობას იკვლევენ სხვა-

დასხვა სახეობის ლაბორატორიულ ცხოველებზე.

სამკურნალო საშუალებების შეყვანის ხანგრძლივობა საექსპერიმენტო ცხოველებზე სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. ევროპის ქვეყნებში მათი ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს, აშშ-ში 12-18 თვე, იაპონიაში - 12 თვე.

ქრონიკული ტოქსიკოლოგიური გამოკვლევისას მიზანშეწონილია ქსენობიოტიკის არანაკლებ 3-ჯერადი დოზის შეყვანა, რათა სწორად იქნას შეფასებული სამკურნალო პრეპარატის თერაპევტული მოქმედება. ნივთიერების მაქსიმალური დოზა აუცილებლად უნდა იწვევდეს ინტოქსიკაციის სიმპტომებს, რათა გამოვლენილი იქნას სამიზნე - ორგანოები ან სამიზნე ორგანოთა სისტემები, მაგრამ ამ დოზამ არ უნდა გამოიწვიოს ყველა ლაბორატორიული ცხოველების დაღუპვა ექსპერიმენტის დამთავრებამდე.

ჰომეოსტაზის ლაბორატორიული მაჩვენებლების და პარამეტრების შესწავლა ცხოველებში ხდება, როგორც პრეპარატის შეყვანამდე, ასევე ექსპერიმენტის ბოლოს. ორგანოების და ორგანოთა სისტემის ფუნქციონალური მდგრამარების გამოკვლევისას გამოყენებულ უნდა იქნას კვლევის ფიზიოლოგიური, ბიოფიზიკური და ბიოქიმიური მეთოდები.

სამკურნალო საშუალებების მოქმედება შეიძლება იყოს როგორც სპეციფიური, ასევე არასპეციფიური, უმეტესი სამკურნალო საშუალებების მეტაბოლიზმი მიმდინარეობს დამდინარეობის დოზით, ის უფრო მეტად განიცდის ქსენობიოტიკის მოქმედებას.

სამკურნალო პრეპარატის დამდებარების კომპლექსური შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნას პათოლოგია, დადგენილი იქნას დოზა, ასევე პრეპარატის შესაძლო ჰეპატოტოქსიკურობის პროგნოზი, განისაზღვროს უკუნჩვენებები და მისი გამოყენების შეზღუდვა.

წამლების არასასურველ მოქმედებას ასევე განიცდის თირკმლებიც. ის ძირითადი ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს მრავალი სამკურნალო საშუალებების ექსპრეციას, თირკმლების ფუნქციის დარღვევის ძირითადი მაჩვენებლებია: ფილტრაციის სიჩქარის, რეაბილიტაციის, შარდის და ელექტროლიტების გამოყოფის დღე-ლამური სიდიდის ცვლილება.

ახალი სამკურნალო პრეპარატის უსაფრთხოების შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მის მოქმედებაზე ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, გულ-სისხლძარღვთა და სისხლის წარმოქმნელ სისტემებზე, ასევე ენდოკრინულ სისტემაზე.

კომბინირებული ფაემაკოთერაპია სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ ფართოდ გამოყენება. უმრავლეს შემთხვევაში პაციენტების 40% ერთდროულად დებულობს 6 სამკურნალო პრეპარატზე მეტს.

პოლიპრაგმაზია - რამდენიმე სამკურნალო პრეპარატის ერთდროული, ან თანმიმდევრული გამოყენება (მიღება), რამაც შეიძლება ხშირად სამკურნალო საშუალებების გამოყენების არასასურველი ეფექტი გამოიწვიოს და ვლინდება კომბინირებული ტოქსიკურობა.

ორი და მეტი სამკურნალო საშუალებების ერთ სამკურნალო ფორმაში კომბინირებისას ფარმაკოლოგიური ეფექტი ხშირად ძლიერდება. ეს კი საშუალებას იძლევა ცალკეული კომპონენტების დოზის შემცირებისა. რაციონალურად შეიძლება ჩაითვალოს სამკურნალო საშუალებების კომბინაცია ერთი და იგივე სამიზნე, განსხვავებული მოქმედების მექანიზმით.

მონოპრეპარატების ერთდროულმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს კომბინირებული ტოქსიკური ეფექტი. მონაცემები სამკურნალო პრეპარატების კომბინირებული გამოყენების თანმდევი ეფექტების შესახებ ძირითა-

დად ეფუძნება ფარმაკოლოგიური გამოკვლევების შედეგებს. კომბინირებული სამკურნალო საშუალებების ურთიერთგავლენის ბიოქიმიური და ფარმაკოგინეტური შესწავლის მეთოდები არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად იქნას შეფასებული ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მუტაგენურობა, კანცეროგენობა და იმუნოტოქსიკურობა.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გავლენამ გაწოვის, განაწილების, ბიოტრანსფორმაციის მექანიზმზე მათი კომბინირებული გამოყენებისას შეიძლება გამოიწვიოს არაპროგნოზირებადი ტოქსიკური ეფექტები. წამლების შეუთავსებელი ქიმიური ურთქმედება შეიძლება თავიდან იქნას აცილებული კომბინირებული სამკურნალო პრეპარატების შექმნისას, მაგრამ გაცილებით რთულია ამის თავიდან აცილება მათი შპრიცში შერევისას, ან მათი ურთიერთქმედებისას ორგანიზმში.

ერთი წამლის ეფექტის გაძლიერება მეორეს გავლენით იწვევს თერაპევტული ეფექტის გაზრდას ტოქსიკურობის გარეშე - ეს არის სამკურნალო საშუალებების რაციონალური კომბინაცია.

პოლიპრაგმაზია განსაკუთრებით საშიშია ისეთი სამკურნალო საშუალებების გამოყენებისას, რომლებიც არ ხასიათდებიან თერაპევტული ეფექტის ფართო სპექტრით: საგულე გლიკოზიდები, ანტიარითმიული და ფსიქოტრაქული პრეპარატები.

ბარბიტურატების ჯგუფის სამკურნალო საშუალებები მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ისინი ძირითადად გამოიყენებიან როგორც დამამშვიდებელი, ძილისმომგვრელი, კრუნჩევების საწინააღმდეგო საშუალებები. ბარბიტურატები ადვილად შეიწვებიან კუჭ-ნაწილავის ტრაქტატის მიერ. მათი მოქმედება განსხვავდება ხანგრძლივობით დამოკიდებულია პლაზმის შებოჭვაზე. ბიოტრანსფორმაციის

სიჩქარეზე და ორგანიზმიდან გამოს-
ვლაზე.

ბარბიტურის მჟავას წარმოებულე-
ბის (ბარბიტურატებს; ლუმინალი (ფე-
ნო ბარბიტალი), ნატრიუმის ბარბარი-
ტალი, ციკლობარბიტალი და სხვა) შემცველობას სისხლში საზღვრავენ
აირ-თხევადი ქრომატოგრაფიის მეთო-
დით პოლარული და არაპოლარული
გამსხვევების გამოყენებით.

ბენზოდიაზეპინების ჯგუფის პრე-
პარატები შედარებით ადვილად ხელმი-
საწვდომია, რაც ხშირად არა სასურ-
ველ შედეგებს იწვევს: პრეპარატთან
დამოკიდებულებას, მოწამვლას და ა.შ.

ამ ჯგუფის პრეპარატები ადვილად
შეწვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტით, მა-
თი მაქსიმალური რაოდენობა ადამია-
ნის სისხლში აღინიშნება მილებიდან
1-3სთ-ს შემდეგ. ბენზოდიაზეპამი ლი-
კოფილური ნივთიერებებაა, დეპონირ-
დებიან ცხიმოვან ქსოვილებში და თან-
დათანობით გადადიან სისხლში. ამის
გამო მათ გააჩნიათ ნახევრად გამოყვა-
ნის დიდი პერიოდი. მაგ. დიაზეპამი-
სათვის ის შეადგენს 98 საათს.

საგულე გლიკოზიდებს მიეკუთვნე-
ბიან დიგიტოქსინი და სხვა კარდიო-
ტოქსიკური გლიკოზიდები. მათ გამოი-
ყენებენ როგორც ანტიარითმიულ სა-
შუალებებს. პრეპარატი დიგოქსინი მა-
ლალი მოლური მასის მქონე გლიკოზი-
დია, ქიმიურად არამდგრადია. მათი თე-
რაპევტული და ტოქსიკური კონცენ-
ტრაციები შედარებით დაბალია და აღ-

მოჩენა, განსაკუთრებით ბიოლოგიურ
მასალებში, გარკვეულ სიძნელებთანაა
დაკავშირებული.

დიგოქსინის ტოქსიკონეტიკური
და ტოქსიკოდინამიკური პარამეტრები:
თერაპევტული დოზა 0,0004-
0,0023მგ/მლ, ტოქსიკური - 0,0014 -
0,0070 მგგ/მლ, ლეტალური - 0,0015 -
0,0300 მგგ/მლ, ცილებთან შეკავშირე-
ბის წილი - 20-40%, შარდთან გამოყო-
ფის წილი 60-90%, პლაზმიდან ნახევ-
რად გამოყვანის პერიოდი 4-100სთ.

შარდში გლიკოზიდების განსაზ-
ღვრისათვის იუენებენ იმუნოქიმიურ
მეთოდებს ბიოლოგიურ მასალებში სა-
გულე გლიკოზიდებს განსაზღვრა
ქრომატოგრაფიული მეთოდით არაა შე-
საძლებელი, მათი დაბალი კონცენტრა-
ციის გამო.

ამრიგად აუცილებელია გათვალის-
წინებულ იქნას რომ სამკურნალო სა-
შუალებები თავის დადებით თერაპევ-
ტულ ეფექტთან ერთად შეიძლება სა-
ზიანო ადმონიდეს ადამიანის ჯანმრთე-
ლობისათვის და საფრთხე შეუქმნას
მის სიცოცხლეს. დიდი მნიშვნელობა
ენიჭება ადამიანებზე სამკურნალო პრე-
პარატების გამოყენების წინ ჩატარე-
ბულ იქნას ლაბორატორიული კვლე-
ვები საცდელ ცხოველებზე და გამოვ-
ლენილ იქნას თუ რომელ ორგანოს
აზიანებს ესა თუ ის საშუალება, დად-
გენილ იქნას სამკურნალო საშუალებე-
ბის კომბინირებულ მოქმედების არასა-
სურველი ეფექტი.

შაპ 615.9(051)

ვ. გამჭრელიმე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოწამვლები სამართლებრივი სამუშავებელი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სამკურნალო საშუალებებით გამოწვეულია უარყოფი-
თი ეფექტები, სამკურნალო პრეპარატების უსაფრთხოების შეფასების აუცილებ-
ლობა. ახალი სამკურნალო პრეპარატების შესწავლისას აუცილებელია გამოვლე-

ნილ იქნას სამიზნე თრგანოები, ქვევილები დაბორატორიულ პირობებში საცდელ ცხოველებზე. ყურადღებაა გამახვილებული პოლიპრაგმაზიაზე, რამაც შეიძლება რიგ შემთხვევაში უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს.

УДК 615.9(051)

Е. ГАМКРЕЛИДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели
ОТРАВЛЕНИЯ ЛЕКАРСТВЕННЫМИ СРЕДСТВАМИ

Резюме

В статье рассмотрены отрицательные эффекты вызванные лекарственными средствами, необходимо оценки их безопасности. При изучении новых лекарственных препаратов обязательно установить органы мишени и ткани в лабораторных условиях на подопытных животных. Особое внимание уделено на полипрагмазию, что в ряде случаев может вызвать отрицательные результаты.

UDC 615.9(051)

E GAMKRELIDZE

Akaki Tsereteli State University
POISONING BY MEDICATIONS

Summary

Toxic effects of medications on the human body is seen as a pathology which is associated dysfunction of the homeostatic system. Especially dangerous turned the combined use of drugs. It is therefore necessary to check their safety in laboratory condition on experimental animals.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. ქ. გამურელიძე - ტოქსიკური ნივთიერებები. ქუთაისი 2014 წ.
2. ქ. გამურელიძე - ტოქსიკური ნივთიერებები გამომც. საქართველო 2002 წ.
3. Токсикологическая химия (Кримаренко В.Ф. редак. Проф. Г.В. Плетеневой Москва – 2008 г.)
4. Токсикологическая химия. М., 1998
5. Гуськова Т.А. Токсикология лекарственных средств. М. 2003.

შპ

6. ჯინჯარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სუბტროპიკულ კულტურათა დეპარტამენტის დოქტორანტი

მოზგლელ ჩაის პლანტაციებში პშჩქების რეგულირების რეაბილიტაციის პრინციპები

საქართველოს მთავრობის მიერ
წარმოდგენილი სახელმწიფო
პროგრამა „საქართველოში ჩაის
რეაბილიტაციის „შესახებ“
ითვალისწინებს პერსპექტივაში 11-15
ათასი ჰექტარის ფართობზე
პლანტაციების ადგენის
ღონისძიებებს. ასაკში შესული
მოუვლელი ჩაის მცენარეთა
ვეგეტაციური ნაწილების რეგენერაცია
მეტად რთული პროცესია და
მოითხოვს სათანადო შესწავლას,
კერძოდ, ზემოთხსენებული პროგრამის
მიხედვით სარეაბილიტაციო
ღონისძიებებს შორის
გათვალისწინებულია ბუჩქების
ნახევრადმიმე და მძიმე სახის
გასხვლების ჩატარება, რისთვისაც
საჭიროა მხედველობაში იქნას
მიღებული თვით ჩაის მცენარის
რეაქცია გამოყენებულ გასხვლებისა
და თანმხლები სხვა აგროტექნიკური
ღონისძიების მიმართ და ა. შ.

ცდის სემა და მეთოდია. ჩვენი
ცდის მიზანს შეადგენდა წლების
მანძილზე მოუვლელი გადაზრდილი,
ჩაის ნარგაობების აღსადგენად საჭირო
აგროდონისმიერების შემუშავება. მათ
შორის გასხვლების სხვადასხვა სახის
გამოყენებით, რიგთაშორისების
მულტირებით და სხვ.

ცდისათვის შერჩეულ იქნა ხონის
რაიონის ყოფილი ჩაის მეურნეობის
ტერიტორიაზე იჯარით აღებული,
დასარევლიანებული მიტოვებული ჩაის

პლანტაცია. საცდელად გამოყოფილი
პლანტაცია გაშენებულია
ადგილობრივი სამეურნეო პოპულაციის
თესლით, შპალერული წესით-1,75X0,35მ.
გაადგილებით. თითოეული საცდელი
დანაყოფის ფართი 7,5მ², ვარიანტის-
30მ², საცდელი ნაკვეთის-
150მ². განმეორება ოთხჯერადია.

ცდა შეიცავდა შემდეგ ვარიანტებს:
I ვარიანტი – შპალერული გასხვლა 60
სმ. სიმაღლეზე, ნასხლავის გატანით
(კონტროლი);

II ვარიანტი – ნახევრადმიმე გასხვლა
35სმ. სიმაღლეზე, ნასხლავის მულჩად

დატოვებით; მწკრივთაშორისებში;
III ვარიანტი – ნახევრადმიმე გასხვლა
35სმ. სიმაღლეზე, მულჩად
შავი

პოლიეთოლენის აპსკის გამოყენებით;

IV ვარიანტი – მძიმე გასხვლა 15სმ.
სიმაღლეზე. ნასხლავის მულჩად
დატოვებით

მწკრივთაშორისებში;
V ვარიანტი – მძიმე გასხვლა 15სმ.
სიმაღლეზე. მულჩად შავი
პოლიეთოლენის აპსკის გამოყენებით.

პლანტაციის შედეგები. პირველ რიგში
დადგენილ იქნა საცდელი ნაკვეთის
დასარევლიანების ბის ხარისხი და
გავრცელებული სარეველების სახეები.

ბოლო 15-20 წლის განმავლობაში
მოუვლელად დატოვებულ საცდელი
ნაკვეთის ჩაის ნარგაობებში მასიურად
გავრცელდა ერთწლიანი და

მრავალწლიანი სარეველები, მათ
შორის ერთწლიანებიდან: ამბობია,
ძურწა, მწყერფება;
მრავალწლიანებიდან: გვიმრა, ქასრა;
ბუნებრივიდან: მაცხალი, კაპლა.

ცდის ვარიანტების მიხედვით
გასხვლამდე გამოვყავით სამი
საშუალო სიმაღლის მცენარე,
რომელიც აჭრილი იქნა მძიმე

(15სმ.სიმაღლეზე) განვსაზღვრეთ
პირველი და მეორე რიგის ტოტების,
გამშებარი ლეროებისა და გვერდითი
ყლორტების საერთო
რაოდენობა,შეფასებულ იქნა ხავსებით
დაზიანების ხარისხი ჩავატარეთ
საცდელად გამოყოფილი ბუჩქების
მორფოლოგიური აღწერა.

3b9ogm 1

ჩაის ბუჩქების მორფოლოგიური აღწერის საშუალო მაჩვენებლები

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს,
რომ მოუკლელი ჩაის მცენარეები
სარეველების გაგრცელების გამო,
სინათლისა და საკვები ნივთიერებების
დეფიციტის პირობებში აშკარად
დაჭინისტულია და პერსპექტივული

მოსალოდნელია პლანტაციის მასიური
გამეჩხერება. ცდის ვარიანტების
მიხედვით ჩატარებული გასხვლების
შედეგად განვსაზღვრეთ ანასხლავი
მასის წონა (ცხრილი 2).

ეხრისთ 2

ჩაის გადაზრდილ ნარგაობაში ანასხლავი მასის საშუალო წონით მაჩვენებლები
გარიანტიბის მიხედვით

№	გარიანტი	ანასხლავი მასა 1 კვ.მ-ზე (კგ)	საშუალოდ ტ/კა- ზე
1	გასხვლა 60სმ.სიმაღლეზე ნასხლავის გატანით (კონტროლი)	2,61	26
2	ასხვლა 35სმ.სიმაღლეზე ნასხლავის მულჩად დატოვებით	5,91	59
3	გასხვლა 35სმ. სიმაღლეზე მულჩად შავი პოლიეთილენის აპსკის გამოყენებით	6,81	68
4	გასხვლა 15სმ. სიმაღლეზე ნასხლავის მულჩად დატოვებით	9,36	94
5	გასხვლა 15სმ. სინაღლეზე მულჩად შავი პოლიეთილენის აპსკის გამოყენებით	9,64	96

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს ანასხლავი მასის წონამ შპალერულად გასხლულ პირველ ვარიანტზე შეადგინა საშუალოდ 26გ/ჰა. ნახევრადმძიმედ გასხლულ მეორე და მესამე ვარიანტზე რიგთაშორისების მულტირების განსხვავებულ ფონზე შეადგინა შესაბამისად 70 და 68 გ/ჰა. მძიმედ გასხლულ მეოთხე და მეხუთე

ვარიანტზე განსხვავებული სახის მულტის გამოყენებით ანასხლავი მასის წომან შეადგინა შესაბამისად 84 და 90 გ/ჰა.

ცდის პირველ წელს ჩატარებულ იქნა დაკვირვებები საცდელი ბუჩქების ყლორტ-წარმოქმნი სხასიათზე გასხვლის სახეების გავლენასთან დაკავშირებით (ცხრილი 3).

ცხრილი 3

გასხვლების გავლენა ჩაის მცენარის ყლორტ-წარმოქმნის უნარზე

ვარიანტი	ვეგეტაციის დასაწყისი გასხვლის პირველი წელი	ვეგეტაციაში შესული ყლორტების რაოდენობა %	ამხმარი მცერნარებების რაოდენობა %	ერთწლიანი ყლორტების საშუალო სიგრძე (სმ)	დეროს დიამეტრი (მმ)	ფოთლების საშუალო რაოდენობა (სმ)	ფოთლის ფირფის ტიპის სტანდარტი
I	16.05	23-27	—	38	2,9	11	10,1
II	10.06	20-23	3	49	3,2	15	12,3
III	15.06	21-24	2	51	3,6	17	12,9
IV	29.06	11-13	6	53	3,8	18	14,9
V	28.06	12-14	5	54	3,9	19	15,4

ჩვენს მიერ ჩატარებული დაკვირვებების შედეგად, როგორც მოსალოდნელი იყო ყველაზე ადრე ვეგეტატიური კვირტები გაიშალა პირველ ვარიანტზე, რომელზედაც ჩატარდა შპალერული გასხვლა 60სმ. სიმაღლეზე და ყლორტები განვითარდა იღლიური კვირტებიდან, რომლებსაც უკვე პქნდათ გავლილი განვითარების გარკვეული ციკლი, ვეგეტაციის დასაწყისი აღინიშნა 16.05. თითქმის ერთი თვის დაგვიანებით ვეგეტაციის დაწყება დაფიქსირდა მეორე და მესამე ნახევრადმძიმედ 35 სმ. სიმაღლეზე გასხლულ ვარიანზებზე, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ ამ შემთხვევაში ყლორტები წარმოქმნა ნაკლებად დიფერენცირებული მძინარე კვირტებიდან. მათგან პირველზე ვეგეტაციის დაწყება აღინიშნა 18.06,

ხოლომ ეორებზე 3 დღით ადრე 15.06. რაც შეეხება მძიმედ 15სმ. სიმაღლეზე გასხლულ მეოთხე და მეხუთე ვარიანტებს აქაც ვეგეტაციის დასაწყისი აღინიშნა მძინარე კვირტების გაშლით თითქმის ერთდროულად შესაბამისად 28.06 და 29.06.

ცდის პირველ წელს სეზონის განმავლობაში ჩავატარეთ ფოთლის კრეფა ვარიანტების მიხედვით. შედეგად გაირკვა, რომ ცდის პირველ წელს ვარიანტებს შორის შედარებით მეტია მოსავლიანობის მაჩვენებელი პირველ ვარიანტზე. გარდა მოსავლიანობისა პირველ წელს შევისწავლეთ მოკრეფილი ფოთლის ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე ნაკლებად ნაზი ფრაქცია პირველ ვარიანტზე

მოკრეფილ მასაში -78%, ყველაზე მეტი მეხუთე ვარიანტზე – 89%. ნახევრადმიმე და მძიმე გასხლულ ვარიანტებზე შესაბამისად მატულობს 2-3 ფოთლიანი დუყების მასა და მცირდება ყრუ დუყების პროცენტი.

კრეფის სეზონის დამთავრებისას შევისწავლეთ ვარიანტების მიხედვით გენერაციული ორგანოების განვითარების მიმდინარეობა. როგორც იყო მოსალოდნელი გენერაციული ორგანოების წარმოქმნა ნაკლებად აღინიშნა ნახევრადმიმედ გასხლულ მცენარეებზე, ხოლო მძიმედ გასხლულ მცენარეებზე საერთოდ არ დაფიქსირდა, რაც ძირითადად აისახება იმით, რომ მცენარეები

ცდილობები გასხვლის შედეგად დარღვეული წონასწორობის აღდგენას ფესვთა სისტემისა და მიწის ზევით ნაწილს შორის.

დასკვნა: ცდის საწყის სტადიაში მიღებული წინასწარი მონაცემებით (ბუჩქების ვარჯის განვითარება, მოსავლიანობა, ფოთლის ხარისხის მაჩვენებლები) ჩვენს მიერ გამოცდილ ვარიანტებს შორის შედარებით პერსპექტიულად გამოიყერება მიტოვებული ჩაის პლანტაციის ნახევრადმიმე (35სმ.) და მძიმედ (15სმ.) გასხვლების ვარიანტები, რომელთა რიგთაშორისებში გამოყენებულ იქნა მულჩად შავი პოლიეთოლენის აასკი.

შპპ

6. პირარამები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სუბტროპიკულ კულტურათა დეპარტამენტის დოქტორანტი
მოუგლებლ ჩაის პლანტაციებში პრჩქმბის რჩხმების რეაგირების
რეაგირების არამოდის

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მიტოვებული ჩაის პლანტაციაში სხვადასხვა სახის გასხვლებისა და რიგთაშორისების მულჩირების განსხვავებულ ფონზე მცენარეთა ვეგეტატიური ნაწილების აღდგენის თავისებურებანი.

კვლევებვის შედეგად მიღებული მონაცემებით (ბუჩქების ვარჯის განვითარება, მოსავლიანობა, ფოთლის ხარისხის მაჩვენებლები) ჩვენს მიერ გამოცდილ ვარიანტებს შორის შედარებით პერსპექტიულად გამოიყერება მიტოვებული ჩაის პლანტაციის ნახევრადმიმე (35სმ.) და მძიმედ (15სმ.) გასხვლების ვარიანტები, რომელთა რიგთაშორისებში გამოყენებულ იქნა მულჩად შავი პოლიეთოლენის აასკი.

УДК

Н. ДЖИНЧАРАДЗЕ

Государственный Университет Акакия Церетели,

Докторант департамента субтропических культур

РЕГЕНЕРАЦИЯ КУСТОВ В ПЕРИОД РЕАБИЛИТАЦИИ НЕУХОЖЕННЫХ ЧАЙНЫХ ПЛАНТАЦИЙ

Резюме

В рамках государственной программы „О реабилитации чая в Грузии“ предусмотрено поэтапное осуществление реабилитационных мероприятий, направленных на восстановление чайных плантаций. При использовании способности растений к адаптации в результате применения различных видов подрезки и способов содержания междуядий с

целю изучения вопросов биологической регенерации полутяжело и тяжело подрезанных в течение многих лет плантации бывшего Хонского хозяйства поставлен опыт в пяти вариантах. По полученным предварительным результатам (формирование кроны урожайности механическому составу сырья) относительно перспективно выглядят варианты полутяжелой подрезки на высоте 35см. и тяжелой подрезки на высоте 15см. с использованием в междурядиях в виде мульча черной полиэтиленовой пленки.

UDC

N. JINCHARADZE

Akaki Tsereteli State University, PhD student Department of subtropical crops

**REGENERATION OF BUSHES DURING REHABILITATION GROOMED TEA
PLANTATIONS**

Summary

Under the state program "On the Rehabilitation of tea in Georgia" in accordance with the phased implementation of rehabilitation measures aimed at restoring the tea plantations. With the purpose to study the question of biological regeneration of Light Heavy and heavy undercut in the former plantation Khoni farms an experiment in five variants. According to preliminary results obtained (the formation of the crown yields textured materials) relative to prospectively look at the options for light heavyweight trim height 35cm. and heavy cutting at a height of 15cm. between rows, using a black polyethylene mulch film.

ლიტერატურა-REFERENSES-ЛИТЕРАТУРА

1. გ. ჩხაიძე -სუბტროპიკული კულტურები, თბილისი 1996წ.
2. გ. ჩხაიძე, რ. კობალიანი, ა. მიქელაძე, ვ. უგულავა- მებაიერბა, ქუთაისი 2013წ.

აგთორთა საჭურადლებოდ!

უკრნალი „ნოვაცია“ არის საერთაშორისო სტანდარტის ნომრის მქონე (ISSN) რეცენზირებადი და რეფერირებადი სერიული გამოცემა, რომელიც ბეჭდავს მნიშვნელოვან გამოკვლევათა შედეგებს ქართველობიურ, პუმანიტარულ, ეკონომიკურ, მათემატიკურ, მექანიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, საინჟინრო და აგრარულ მეცნიერებათა დარგებში. გამოიცემა წლიწადში ორჯერ (პირველი ნომრისათვის სტატიები მიიღება 15 აპრილამდე, მეორე ნომრისათვის - 15 ნოემბრამდე). უკრნალში დაბეჭდილი სტატიები წარმოადგენს საერთაშორისო დონის ნაშრომებს.

უკრნალის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიული გამოქვეყნება.

სტატიები გამოსაქვეყნებლად მიიღება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე (ავტორის სურვილისამებრ, ქვეწერების მიერ მოპოვებულის ენაზე), რომელსაც თან უნდა - ერთვოდეს სამ ენაზე (ქართული, რუსული და ინგლისური) დაწერილი რეზიუმე სტატიის ავტორთა რაოდენობა ხუთს არ უნდა აღემატებოდეს.

სამეცნიერო სტატიების გაფორმება უნდა მოხდეს შემდეგი წესის მიხედვით:

- სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 4 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი (A4 ფორმატის ქადალდის 1,15 ინტერვალით ნაბეჭდი, მინდვრები ზევით და ქვევით – 2,4 სმ, მარცხნივ – 2,5 სმ, მარჯვნივ - 3 სმ, აბზაცი – 0,8 სმ, გადატანებისა და გვერდების ნუმერაციის გარეშე) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების, რეზიუმეების და ლიტერატურის ჩამონათვალის ჩათვლით;
- სტატია შესრულებული უნდა იყოს ტექსტურ რედაქტორ Word-ში ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;
- ქართული ტექსტისათვის გამოყენებული უნდა იქნეს შრიფტი - Acadnusx, 11 pt;
- ინგლისური და რუსული ტექსტისათვის შრიფტი - Times New Roman, 11 pt;
- მარცხენა ზედა კუთხეში - უაკ-ი (უნივერსალური ათობითი კლასიფიკატორი);
- სტრიქონის გამოტოვებით – ავტორთა სახელი და გვარი;
- შემდეგ სტრიქონზე ორგანიზაციის სრული დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი;
- სტრიქონის გამოტოვებით – სტატიის სათაური;
- სტრიქონის გამოტოვებით – სტატიის შინაარსი;
- სტრიქონის გამოტოვებით – რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (რეზიუმე არაუმეტეს 1000 ნაბეჭდი ნიშნისა);
- სტრიქონის გამოტოვებით – გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი;
- სტატიაში ნახაზები და საილუსტრაციო მასალები ჩასმული უნდა იყოს JPEG ან BMP ფორმატით;
- მათემატიკური ფორმულები აკრებილი უნდა იყოს რედაქტორ Equation-ის გამოყენებით;
- ავტორი/ავტორები პასუხს აგებს სტატიის შინაარსა და ხარისხს.

გამოსაქვეყნებელი სტატია რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ძალისა და გამოსაქვეყნებელი (1 ებზემალარი) და ელექტრონული (ნებისმიერ მატარებელზე) სახით. სტატიას თან უნდა ახლდეს დარბის საციიალისტის მიერ ხელმოწერილი რეცენზია.

კველა გამოქვეყნებული სტატიის რეცენზია რეზიუმე იბეჭდება სრულიად რეცენზიას მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ РАН) საერთაშორისო რევიურირებულ ჟურნალში.

ჟურნალის ბეჭდი ხორციელდება აგვირთა ხარჯებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: 4600, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ., 102, მთავარი რედაქტორი ნინო ხელაძე, ტელ. (+995 431) 22 34 44, 579 16 45 54, 577 97 25 42, E-mail: nino27@list.ru.

К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

Журнал «НОВАЦИЯ» является рецензируемым и реферативным серийным изданием, имеющим Международный стандартный номер ISSN, который печатает результаты важных исследований в грузинологических, гуманитарных, экономических, математических, механических, химических, биологических, инженерных и аграрных областях наук. Журнал издается два раза в год (для первого номера статьи принимаются до 15 апреля, для второго – до 15 ноября). Опубликованные в журнале статьи являются научными работами Международного уровня.

Целью журнала является содействие развитию науки, оперативная публикация новых достижений и результатов исследований ученых и специалистов.

Статьи для публикации принимаются на грузинском, русском или английском языках (по желанию авторов, публикуется на языке оригинала), к которой должно прилагаться резюме на трех языках (грузинском, русском и английском), число авторов статьи не более 5.

Научная статья оформляется по следующим правилам:

- Объем статьи не менее 4 и не более 12 страниц (формат страницы А4, интервал 1,15, поля - верхнее и нижнее – 2,4 см, левое – 2,5 см, правое - 3 см, абзац – 0,8 см, без нумерации страниц и переносов) включая рисунки, графики, таблицы, резюме и перечень литературы;
- Статья выполняется в текстовом редакторе Word;
- Шрифт для грузинского текста - Acadnusx, 11pt;
- Шрифт для русского и английского текста – Times New Roman, 11pt;
- В левом верхнем углу пишется УДК (универсальный десятичный классификатор);
- Через строчку – имя и фамилия авторов;
- Полное название организации, где выполнена работа;
- Через строчку – название статьи;
- Через строчку – текст статьи;
- Через строчку – резюме на грузинском, русском и английском языках (не более 1000 печатных знаков);

- Через строчку – список литературы;
- Рисунки и иллюстрации должны быть выполнены в формате JPEG или BMP;
- Математические формулы выполняются с использованием редактора Equation;
- Автор/авторы несет ответственность за содержание статьи.

СТАТЬИ ДЛЯ ПУБЛИКАЦИИ В РЕДАКЦИЮ ПРЕДСТАВЛЯЮТСЯ В НАПЕЧАТАННОМ (1 ЭКЗ.) И ЭЛЕКТРОННОМ (НА ЛЮБОМ НОСИТЕЛЕ) ВИДЕ. К СТАТЬЕ ДОЛЖНА ПРИЛАГАТЬСЯ РЕЦЕНЗИЯ, ПОДПИСАННАЯ СПЕЦИАЛИСТОМ СООТВЕТСТВУЮЩЕЙ ОТРАСЛИ.

Все опубликованные в журнале резюме печатаются в Международном реферативном журнале Всероссийского института научно-технической информации Всероссийской Академии наук (ВИНИТИ РАН).

Журнал издается за счет авторов.

За дополнительной информацией обращаться по адресу: 4600, г. Кутаиси, пр. Молодежи 102, главный редактор Нино Хеладзе, т. (+995 431) 22 34 44, 579 16 45 54, 577 97 25 42, E-mail: nino27@list.ru.